140
1997

# ნაკადული 1997

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოდით, ამერიკას მივბაძოთ ◆ სკოლის ბორცვზე ◆ პიკასო, დალი და ბესო ყაზაიშვილი ◆ ვინ იყო შერლოკ ჰოლმსი? ილუსტრირებული ვიქტორინა ◆ როგორი ხასიათი გაქვთ? ◆ სიცილის გაკვეთილი

საყმაწვილო ჟურნალი"ნაკადული"

1997 წ. № 4

გამოდის 1926 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნომრის შინაარსი

მოდით, ამერიკას მივბაძოთ ........ 1

სიტუაცია: მაკა და კახა გაიპარნენ ........ 2

ქუჩის ბავშვები აღარ უნდა გვყავდნენ ........ 4

"ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო ........ 6

ვულოცავთ! ........ 7

მარკ ტვენი. სკოლის ბორცვზე (მოთხრობა) ........ 8

პიკასო, დალი და ბესო ყაზაიშვილი ........ 13

ოფიცრობა პრესტიჟული იქნება ........ 14

პოლონელ ხარცერებთან ........ 16

ცხვირიც არის და ცხვირიც (ბუნების კარი) ........ 17

იზარდე მწვანე ჯეჯილო ........ 20

ყველაზე საოცარი და ვერაგი კუნძული ........ 22

ვინ იყო შერლოკ ჰოლმსი? ........ 25

მე თვითონ ........ 26

ყველაზე-ყველაზე ........ 28

ილუსტრირებული ვიქტორინა ........ 29

კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ........ 30

როგორი ხასიათი გაქვს? (ტესტი) ........ 31

სიცილის გაკვეთილი ........ 32

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი

რედაქტორის მოადგილე ქეთევან ცამაცაძე

პასუხისმგებელი მდივანი არჩილ მექანიშვილი

რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14

ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84

ფასი სახელშეკრულებო.

ინდექსი 76157

# მოდით, ამერიკას მივბაძოთ!

სამწუხარო და შემაშფოთებელი კი არა, საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები:

სიგარეტის მწეველთა რაოდენობით საქართველოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს იმ 149 ქვეყანას შორის, სადაც საგანგებო გამოკვლევა ჩატარდა.

საქართველოს თამბაქოს წევასთან ბრძოლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში 2 მილიონი მწეველია, მათგან ნახევარი 12-16 წლისაა.

თუ იმასაც დავძენთ, რომ ჩვენში გასაყიდად შემოტანილი თამბაქოს ხარისხი არამც და არამც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ავთვისებიან დაავადებათა გამომწვევი რადიოაქტიური ნივთიერებების შემცველობა მასში 25-ჯერ აღემატება დაშვებულს, ადვილად მიხვდებით, რომ ერთი მილიონი მწეველი ყმაწვილის სახით ქვეყანას პოტენციურად ავადმყოფი თაობა ეზრდება, ხოლო ეს ხალხისთვის, რომელიც საძირკველიდან იწყებს ახალი სახელმწიფოს შენებას, კატასტროფის ტოლფასია!



დავუფიქრდეთ, რატომ არ გვყოფნის ელემენტარული გონიერება იმის გასაცნობიერებლად, რომ თუ უმრავლესობას მისაბაძ მაგალითად და ორიენტირად ცხოვრების ამერიკული წესი დაუსახავს, ამ წესის დადებითი მხარეები უნდა გადმოიღოს დასანერგად. ასე მოიქცევა ნებისმიერი გონიერი ადამიანი, საზოგადოება. ხომ ცნობილია, რომ სადღეისოდ მსოფლიოს №1 ქვეყანაში სიგარეტს ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს: არ ეწევა პრეზიდენტი, არ ეწევიან მსოფლიო სახელის მქონე სპორტსმენები, თავი დაანებეს თამბაქოს კინო და როკვარსკვლავებმა, სასტიკად აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში, აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, 2002 წლისათვის კი სიგარეტის მოწევა კანონმდებლობით ნარკომანიას გაუტოლდება.

მრავალმა ქვეყანამ აუბა მხარი შეერთებულ შტატებს. სულ ახლახან იაპონიაში აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის ტელერეკლამა და ეს პირველი ნაბიჯია ამ გზაზე...

ჩვენ კი, ჩვენ... ვაბოლებთ და ვაბოლებთ ნაირ-ნაირ სიგარეტებს, თავი მოგვაქვს, ჩვენი ჭკუით ცივილიზებულ მსოფლიოს კუთვნილების დამტკიცებას ვლამობთ, საპირისპირო კი გამოგვდის...

**სიტუაცია**

# მაკა და კახა გაიპარნენ

თითქოს ყოველი ახალი ოჯახის შექმნა უნდა გვახარებდეს, მით უმეტეს დღეს, როცა საქართველოში შექმნილ დემოგრაფიულ სიტუაციას კარგი არ ეთქმის, ასეც არის, მაგრამ... როცა, ასე ვთქვათ, ოჯახს 15-16 წლის მოზარდები ქმნიან, უფროსებს ეს აფიქრებს და აშფოთებს.

რატომ?

მაკა და კახა გაიპარნენ — როგორც წესი, ამ ამბავს ჯერ თანაკლასელები, მეგობარ-ამხანაგები გებულობენ (ის კი არა, ზოგჯერ ხელსაც უწყობენ), მერე მასწავლებლები, მერე მშობლები...

თანატოლების რეაქცია სხვადასხვაგვარია: უყვარდათ ერთმანეთი, მშობლები კი ნებას არ დართავდნენ და აბა რა ექნათო, — ამართლებენ ერთნი, სულელები არიან, რა ეჩქარებოდათო, — ამტყუნებენ მეორენი, ვისი რა საქმეა, უნდოდათ ერთად ყოფნა და გაიპარნენო, — მხრებს იჩეჩენ მესამენი...

ეს თანატოლები.

უფროსების — მშობლების, ნათესავების, მასწავლებლების, თანაკლასელთა მშობლების, მეზობლების აზრი კი ერთნაირად უარყოფითია: რა დროს მაგათი ცოლქმრობაა, რა ეჩქარებოდათ, სკოლა მაინც დაემთავრებინათო, ჩვენ ძლივს გაგვაქვს თავი და ახლა ეს გოგოც ჩვენი შესანახი უნდა გახდესო, შვილი რომ ეყოლებათ, ვინ უნდა გაუზარდოს, 15 წლის ბავშვმა ან ქმარს როგორ უნდა მოუაროს, ან შვილსო, მათ ოჯახი თამაში ჰგონიათ, აბა 16 წლის ბიჭი ოჯახის შემნახველია, ჩვენ კი მეტი აღარ შეგვიძლია, ლუკმა პურის ფულსაც ძლივს ვშოულობთო, რაღა მომავალი ექნება ჩვენს შვილს, როცა ასე პატარამ ასეთი ტვირთი წამოიკიდაო...

მოდით, ჯერ უფროსებს მოვუსმინოთ.

## მშობელი

იმაში, რომ მეცხრე-მეათეკლასელი მოზარდები ჩუმად, მშობლების დაუკითხავად წყვეტენ ამ ნაბიჯის გადადგმას და უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე აყენებენ მათ, კარგი ნამდვილად არაფერია. სიყვარულს ვერავინ დაუშლით, პირიქით, მისასალმებელია, დე, უყვარდეთ ერთმანეთი. ეს გრძნობა ხომ ასე ალამაზებს, ხვეწს, აკეთილშობილებს გოგონებს და ბიჭებს, მაგრამ ეს ნაბიჯი... თავზარდამცემი მეხივით გავარდება ხოლმე — მაკა და კახა თუ ზაზა და თეონა გაიპარნენო. პირადად მე სამი ბიჭი მყავს და რომელიმე რომ ასე მოიქცეს, ალბათ, გული გამისკდება. სწავლის გაგრძელებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, ნაადრევი შეუღლებული წყვილი ყველაფერში უნდა გამოაკლდეს ტოლებს. ისინი არ ითვალისწინებენ, რომ ცოლ-ქმრობანას თამაშს შედეგად შვილი მოსდევს, შვილის მოსაველელ-გასაზრდელად 15-16 წლის დედ-მამა, ცხადია, მზად არ არის. დღეს ყოვლად წარმოუდგენელია 16 წლის დედა, 16 წლის მამა... აბა, ჩვენი დიდი ბებიები 13 წლისანი რომ თხოვდებოდნენო, შემესიტყვება ზოგი. კი ბატონო, თხოვდებოდნენ, მაგრამ ვინ გითხრათ, რომ ბედნიერები იყვნენ?! ან ის დრო და ეს დრო ერთია?!

მაგალითისათვის შორს წასვლა არ მომიწევს. დაახლოებით სამი წლის წინათ მეზობელ სადარბაზოში მეცხრეკლასელი გოგონა გაეპარა ასე მშობლებს, თანაკლასელს გაჰყვა. თავზარი დაეცათ ერთის მშობლებსაც და მეორისასაც. ივიშვიშეს, გაიხეთქეს გულები, ზურგიც აქციეს შვილებს, მაგრამ რაღას იზამდნენ, მართლა კარში ხომ არ დატოვებდნენ და — შეურიგდნენ. ერთ წელიწადში გოგონა ეყოლათ, გაიხარეს დიდებმაც და პატარებმაც, მაგრამ... 16 წლის დედ-მამას ამხანაგები, გართობა, დაბადების დღეები, მისვლა-მოსვლა არ ეთმობოდა, ბებიებმა კი, ერთხელ დაიტოვეს ბავშვი, ორჯერ, ათჯერ, მერე კი... აიშალა ჯერ კიდევ აუწყობელი ოჯახი, ყმაწვილ ქმარს არ უნდოდა ძმაკაცებს გამოჰკლებოდა, "ცოლის ჭკუაზე ევლო", თავის მხრივ, არც ნორჩ ცოლს უნდოდა დაქალების დაკარგვა, ქმრისთვის წინდებისა და პერანგების რეცხვა-უთოობა, ბავშვის ყოველი ტირილი, ავადმყოფობა თუ ჭირვეულობა მისი მამის სახლიდან გაქცევით და დედის ნერვების აშლით მთავრდებოდა... ასე დაწვრილებით იმიტომ ვყვები, რომ ეს ტიპური შემთხვევაა, თითქმის ყველა ნააადრევად შექმნილი ოჯახი გადის ამ გზას და ეს ყოველმხრივ მოუმზადებელი ახალგაზრდები, საძირკვლის ჩაყრასაც ვერ ასწრებენ, ისე ანგრევენ ოჯახს, რასაც უამრავი სატკივარი და პრობლემა მოჰყვება.

ელენე ლომიძე

## ექიმი

მართალია, სადღეისოდ საქართველოში ისეთი დემოგრაფიული ვითარებაა, რომ სახელმწიფო, ერი სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული შობადობის გაზრდით. დღეს თითოეულ ახალშობილს თავისი ამქვეყნად მოსვლით მარტო მისი მშობლებისთვის, ოჯახისთვის კი არ მოაქვს დიდი სიხარული, არამედ სრულიად საქართველოსთვის. ცხადია, ასეთი სასიხარულო და მისასალმებელია ყოველი ახალი ოჯახის შექმნა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ნაადრევ ქორწინებას მაინც ვერ ჩავთვლით მიზანშეწონილად და, აი რატომ: მოზარდის ორგანიზმი, მისი სომატური ორგანოები ანატომიურადაც და ფუნქციურადაც ჯერ კიდევ უმწიფარია შვილოსნობისათვის. ვფიქრობთ, გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი წინაპარნი 15-16 წლისანი, ზოგჯერ კი უფრო პატარებიც, ქორწინდებოდნენ და მრავალშვილიანებიც იყვნენ, ნაკლებად მისაღებია ჩვენი ყოფისათვის.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ წინათ ქალი ოჯახში მხოლოდ ქალურ ტვირთს ეწეოდა, დღეს კი იგი მამაკაცის თანაბრად, ზოგჯერ კი მასზე მეტადაც შრომობს ოჯახშიც და გარეთაც. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ქორწინება დედობრივი ფუნქციის სრულფასოვანი შესრულების საშუალებას არ აძლევს ქალს.

სოციოლოგიურად და ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი წყვილებ-

ის შეერთების შედეგად შექმნილი ოჯახი სრულფასოვანი ვერ იქნება, აკი ამიტომაც ინგრევა ძალიან სწრაფად. მოზარდების მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა-არგადადგმისთვის მათ უწინარეს ყოვლისა, ოჯახში უნდა ამზადებდნენ. ამ მიმართებით ოჯახს დღეს უწინდელზე გაცილებით მეტი საფიქრალი აქვს. ისტორიულად შრომისა და ყოფის მაღალი კულტურის მქონე ქართულ ოჯახში, სწავლა-განათლებისა და აღზრდის უდიდესი ტრადიციების ქვეყანაში აუცილებლად უნდა შეიქმნას ჯანმრთელი ბავშვების აღზრდის ოპტიმალური გარემო. შესაბამისად უნდა მომზადდეს ახალგაზრდობა, რათა დამკვიდრდეს ცხოვრების ჯანსაღი წესი და გაძლიერდეს ოჯახური ურთიერთობები, უფრო გააზრებული და მიზანდასახული ხასიათი უნდა მიიღოს მოზარდ ქალთა ჰიგიენის, სქესობრივი ცხოვრების კულტურის პროპაგანდამ. ოჯახი ჰაიჰარად, ახალგაზრდების წამიერი ფიზიოლოგიური ლტოლვის დაცხრომის მიზნით და შედეგად არ უნდა იქმნებოდეს. ჩვენი გოგონები და ბიჭები აუცილებლად უნდა დაფიქრდნენ და ისე გადადგან ეს ნაბიჯი. ამის შემდეგ ხომ ისინი მშობლები გახდებიან, ისინი არ ფიქრობენ, რომ შვილს მოვლა, აღზრდა დასჭირდება, რომ 15-16 წლის გოგონა ცოლი, მერე კი დედაც რომ გახდება, ქმარ-შვილს უნდა მოუაროს, ამავე ასაკის ბიჭმა კი ცოლ-შვილის შენახვაზე უნდა იზრუნოს. ორივემ კი ყოველდღიურ ვითარებაში დათმობისა და მოთმინების უნარი უნდა გამოიჩინოს. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი მოვალეობა უჩნდებათ გუშინდელ ბავშვებს, სრულიად დაუფიქრებლად რომ ქმნიან ოჯახს...

ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ იმას, რომ უფროსი კლასების სასწავლო პროგრამაში მოზარდთა სამედიცინო პრობლემებიც შედიოდეს, არადა, ცივილიზებულ სამყაროში ეს დიდი ხანია ხორციელდება. პედიატრებმა, ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, პედაგოგებმა, სკოლის მესვეურებმა ერთობლივი ძალისხმევით უნდა მიაღწიონ ამას, ეს ხომ მათი გადაუდებელი საზრუნავია. ცხოვრება აღარ იცდის, მოდის ახალი ოჯახი, ახალი პიროვნება, რომელიც თამამად ანგრევს დადგენილ ნორმებს და ცდილობს დამოუკიდებლად დამკვიდრდეს ახალ გარემოში.

დალი ლექავა,

თბილისის ბავშვთა პირველი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელი, საერო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის გამგე, დოცენტი.

## ფსიქოლოგი

ნაადრევი ყველაფერი კარგია? ყოველ შემთხვევაში, ხალხი ასე ამბობს, თუმცა, იქვე დასძენს — სიკვდილის გარდაო. ხალხი ბრძენიაო, — ამტკიცებენ, მჯერა, რომ ასეა, მაგრამ ერთხელ თუ ღმერთ-



საც შეეშლება, ხალხს, ალბათ, სულ ცოტა, ორჯერ მაინც. არ მინდა, ხალხის სიბრძნეში ეჭვი შევიტანო, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, იმ ორი შეცდომიდან ერთ-ერთთან გვაქვს საქმე. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ნაადრევი ყველაფერი უვარგისია. დიახ, ყველაფერი — გამონაკლისის გარეშე!

აბა წარმოიდგინეთ: ნაადრევი ვაშლი! ვითომ გემოს ჩაატანთ? ეჭვი მეპარება. მჟავე და მწკლარტე ტყემალიც არსებობს და რაღა ვაშლი უნდა მოვწყვიტოთ? ვაშლი შემთხვევით არ ვახსენე. ოდესღაც ჩვენმა დიდმა ბებიამ და ბაბუამ ამ აკრძალულ ხილს უდროო დროს გაუსინჯეს გემო და რაც გვჭირს, სწორედ მას მერე გვჭირს. ხომ გვემჟავა და გვემწარა? ახია ჩვენზე!

ასევე გვემჟავება და გვემწარება ნაადრევი ქორწინება. ვითომ რას ამტკიცებს ნაადრევად დაქორწინებული წყვილი? თავის დიდ სიყვარულს? სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს, რომ ასეთ ქორწინებათა აბსოლუტური უმრავლესობა პირველივე წელს იშლება. ეს ძალზე ბუნებრივია. ოჯახს ეკონომიურად, ფსიქოლოგიურად, სოციოლოგიურად მტკიცე საფუძველი ესაჭიროება. მის საჭესთან ჩამოყალიბებული, ცხოვრებაში გზაგაკვლეული ახალგაზრდები უნდა იდგნენ, რომლებიც საფუძვლიანად იცნობენ ერთმანეთს. ნაჩქარევად შექმნილი ოჯახი კი "სიყვარულობანას" თამაშის გაგრძელებად იქცევა "ოჯახობანას" ფორმით. ძალზე მალე ახალგაზრდები აღმოაჩენენ, რომ ოჯახი სათამაშო არ ყოფილა. ყმაწვილი სახტად რჩება — თურმე მის ჯულიეტას გაბრაზება სცოდნია (თანაც, როგორი!), ვერ იტანს, როდესაც ის სახლში გვიან ბრუნდება. რა გაუძებს ამის აბზუებულ ტუჩებს! თანაც... ოჰ, ეს ყოფითი წვრილმანები! თანაც, ჯულიეტა კოსმეტიკის გარეშე არც ისე ლამაზი ყოფილა, ამ დროს კი, — "ვა, რა ნაშები დადიან ქუჩაში!"

ჯულიეტაც ვერ არის ხასიათზე. რომეო თავზე ისე აღარ ევლება. ვერც თვითონ იცლის. ღმერთო ჩემო, რამდენი მომაბეზრებული წვრილმანია! თანაც, ბოლო რომ არ უჩანს...

არც გამოუჩნდება! თქვენ, ჩემო კარგებო, ამისათვის ჯერ კიდევ მზად არა ხართ. ოჯახი ორი ჭრელი პეპელას ჭრელ მინდორზე ფარფატი არ გეგონოთ. ოჯახი ტვირთია, რომელიც ორივემ უნდა მხარდამხარ ზიდოთ. აცალეთ მხრებს მომაგრება! რამდენად სინდისიერი საქციელია ამისათვის მშობლების მხრების გამოყენება? გინდათ, დიდები იყოთ? გახდით დიდები. "ოჯახობანა" ამისათვის არც მაინც და მაინც მოსახერხებელი საშუალებაა. ჯერ პასუხისმგებლობა იგრძენით, შეიძინეთ პასუხისგების უნარი, ჩვევა და შემდგომღა იტვირთეთ პასუხისმგებლობა!

მედეა გოგსაძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიო...

## ქუჩის ბავშვები

C&E

# ალარ უნდა გვყავდეს!

C&E

თბილისში, გრიშაშვილის ქუჩაზე, ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში კაპიტალური რემონტის შემდეგ გაიხსნება ქუჩის ბავშვებისათვის განკუთვნილი დღის ცენტრი და ღამის თავშესაფარი. ცენტრი პირველი ამ ტიპის დაწესებულებაა საქართველოში და მისი შექმნის სამწუხარო აუცილებლობა ჩვენში ბოლო დროს ზრუნვისა და მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მომრავლებამ გამოიწვია. ცენტრის შექმნის ინიციატორია ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო", რომლის პრეზიდენტი ქალბატონი ნანა იაშვილი გახლავთ.

საქმე და საფიქრალ-საზრუნავი ქალბატონ ნანას არც ოჯახში აკლდა და არც სამსახურში. ქმრისა და ორი შვილის მოვლას თბილისის 41-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის პედაგოგის შრომაც ემატებოდა, მაგრამ თითქოს ეს არ კმაროდეს, უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობის საქმე იტვირთა და დღემდე ერთგულად უძღვება მას.

— ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა იგი უკან მიხედვის მოთხოვნილებას გრძნობს, ხოლო უკან რომ მიიხედავს, აუცილებლად ჰკითხავს თავს, ვითომ ყველაფერი გავაკეთე ცხოვრებაში, რაც შემეძლო? — ამბობს ქალბატონი ნანა. — პირადად მე მივხვდი, რომ ბევრი რამ არ გამიკეთებია, რომ უფრო მეტი შემიძლია. ამას ისიც დაემთხვა, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქში ხელგაწვდილი ბავშვები მომრავლდნენ. განსაკუთრებით ქუჩასა და მეტროს გადასასვლელებში მომღერალმა ბავშვებმა შემძრეს, რომელთა, ასე ვთქვათ, რეპერტუარი მტკივნეულად მიღიზიანებდა სმენას, გულს მიკლავდა, სულს მიძრწუნებდა. მაშინ ამეკვიატა მათზე ფიქრი, არც დღე მასვენებდა და არც ღამე. ვიგრძენი, რომ ვერ გავძლებდი, თუ როგორმე მაინც არ დავეხმარებოდი რეალური ცხოვრების მიერ გამორიყულ პატარებს. მძიმე დრო იყო — ომი, ნგრევა, უბედურება. მათთვის არავის ეცალა. არ ვიცოდი, რა მექონა, როგორ დავხმარებოდი. ჩემს დას, ქეთინოს გავენდე. სწორედ მისი დაბადების დღე ახლოვდებოდა და ჩვენთან შეკრებილი მეგობრების წრეშიც ჩამოვაგდე ლაპარაკი ამ მტკივნეულ საკითხზე. ქეთინოს მეგობრებმა მხარი ამიბეს, შენ ოღონდ იდეას სათანადო ფორმა მიეცი და შენ გვერდით გვიგულე, ყველაფერში მხარში ამოგიდგებით და მეც ავმოქმედდი.

იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებმაც და საქმეში გარკვეულმა სხვა ადამიანებმაც არასახელმწიფო ორგანიზაციის შექმნა მირჩიეს. ხოლო რაკიღა ჰოროსკოპით თხის რქა გახლავართ, პატივმოყვარეობამ და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის ჩვევამ თავისი როლი ითამაშა და 1995 წლის 20 აპრილს ოფიციალურად დაფიქსირდა ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" შექმნა.

— ქუჩის ბავშვებთან მუშაობის პროექტიც ორგანიზაციის შექმნასთან ერთად იქნა შემუშავებული?

— დიახ, ჩვენ შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოფდით ქუჩაში აღმოჩენილ ბავშვებს ტანსაცმლით, კვების პროდუქტებით. ამას მოხმარდა ორი წლის წინ ჩვენი ორგანიზაციის მონაწილეობით გამართულ საშობაო საქველმოქმედო კონცერტზე შემოსული სახსრების ნაწილი. საამისო თანხებს ვღებულობდით კერძო პირებისგანაც, დაგვეხმარნენ საფრანგეთის, შვეიცარიის საელჩოები, ორგანიზაციები — UMCOR, SECOURS POPUAIRE FRANCAIS, EQUILIRRE. რაც შეეხება პროექტს "თბილისის ქუჩების ბავშვების სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია", მისი ნაწილი დააფინანსა ფონდმა "ღია ფონდი — საქართველო". მთლიანობაში კი პროექტი ბრიტანული ორგანიზაცია OXFAM-თან ერთად წარდგენილი იქნა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე და გაიმარჯვა მოსახლეობის დაუცველი ფენების დაცვის ხაზით. დაწყებული გასული წლის დეკემბრიდან, პროექტმა სამუშაო ხასიათი მიიღო და მაშასადამე, ევროკავშირის მიერ დაფინანსდა.

— მაინც რას მისცემს ბავშვებს ეს ცენტრი?

— ცენტრში ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან სამჯერადი კვებით, სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურეობით, მათთვის სპეციალურად შევადგინეთ სპორტული, ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული პროგრამები. დღის ცენტრს 50 ბავშვის მიღება შეუძლია, ღამის გათევას კი აქ მხოლოდ 20 ბავშვი შეძლებს. ერთი ცენტრი ნამვილად არ კმარა, იგი ვერასგზით ვერ აუვა ამდენ ქუჩის ბავშვს, რომელთა რაოდენობამ სადღეისოდ 120-ს მიაღწია. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, არც ერთი მათგანი არ დაგვრჩეს სითბოს, ზრუნვის, ყურადღების გარეშე, მაგრამ ეს სრულყოფილი დახმარება მაინც ვერ იქნება.

**— რითი ხელმძღვანელობთ ამ ბავშვებთან მუშაობაში?**

— ჩვენ დავამუშავეთ სამი ტიპის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კითხვები. გამოკითხვა შეიცავს მონაცემებს ბავშვების ინტერესების, მიდრეკილებების, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, განვითარების, ფსიქიკის მდგომარეობის შესახებ. აი, ამ მონაცემებიდან გამომდინარე ვეძებთ მიდგომას თითოეულ ბავშვთან, მათი გათვალისწინებით ვცდილობთ უშუალო, ბუნებრივი, ადამიანური კონტაქტები დავამყაროთ მწარე ხვედრით დაჩაგრულ პატარა ადამიანებთან.

— თუ გრძნობთ, რომ რაღაცნაირად შეიცვალეთ ან შეგეცვალათ შეხედულებები ცხოვრებაზე მას შემდეგ, რაც ქუჩის ბავშვებთან დაიწყეთ მუშაობა?

— იცით, მე მეგონა, რომ ადამიანები ბევრად უფრო კეთილები არიან. რა თქმა უნდა, არ მავიწყდება, რომ ძნელი დროა და ვითვალ-

ისწინებ ამ ფაქტორს. მაგრამ პირდაპირ გამაოგნა იმ ამბავმა, რომ რეალურად სწორედ ისინი აღმოჩნდნენ გულგრილები და უგულოები, ვინც კეთილი და გულისხმიერი მეგონა. ეტყობა, მანამდე მტკივნეულ პრობლემებს არ შევხვედროდი და ილუზიებით ვცხოვრობდი. სამწუხაროდ, მე დავინახე, რომ სიკეთის თავგამოდებული მოქადაგენი კრიტიკულ მომენტში უკან იხევენ და მაშასადამე, მათი სიტყვებიც ფუჭი ყოფილა. თუმცა მათდამი დამოკიდებულება მაინც არ შემიცვლია, ისიც ეყოფათ, რომ კეთილი გული არა ჰქონიათ...

– რით განსხვავდებიან ქუჩის ბავშვები ჩვეულებრივი ბავშვებისაგან?

– მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ისინი უბედურები არიან. ისინი არავის სჭირდება, არ ვიცი, რა იქნება ხუთი წლის შემდეგ, დღეს კი ქუჩის ბავშვები, მათი ბედი არავის აინტერესებს. ქუჩის ბავშვები ჩვეულებრივებზე უფრო გონიერები და პრაქტიკულები არიან. მათ იციან, რომ უბედურები არიან, მაგრამ არავის ადანაშაულებენ ამაში, ესმით, რომ ეს ყველაფერი ცხოვრებამ მოიტანა. სწორედ ამიტომაც ორჯერ უფრო საბრალონი არიან...

– პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება თუ დაგეხმარათ მათთან ურთიერთობაში?

– ცხადია, დამეხმარა. ნებისმიერ ბავშვთან ურთიერთობაში აუცილებელია საერთო ენის გამონახვა, თუ კეთილმოსურნეობა და სიყვარული არ გამოძრავებს და კიდევ – აუცილებელია მოთმინება. პირველ რიგში – მოთმინება.

– თქვენი შვილები თუ გეხმარებიან ორგანიზაციის საქმიანობაში?

– ქეთი კიდევ ახერხებს, გვეხმარება, იგი მხატვარია. გუგა კი სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზეც სწავლობს და მუშაობს კიდეც, ისე რომ, სურვილის მიუხედავად, ვერ გვეხმარება.

**– ამ ხნის განმავლობაში ერთი ბავშვი მაინც თუ დაუბრუნეთ ნორმალურ ცხოვრებას?**

– რამდენიმე მოზარდმა მუშაობა დაიწყო. ერთი მათგანი ჩვენ თვითონ მოვაწყეთ.

**– გარდა ქუჩის ბავშვებთან მუშაობისა, კიდევ რა მიზნებს ისახავს თქვენი ორგანიზაცია?**

– ჩვენი ზრუნვის სფეროში ლტოლვილი ბავშვებიც შემოდიან. ამას წინათ ჩვენმა ორგანიზაციამ მოაწყო ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა ნახატების გამოფენა დევიზით "ბავშვები კავკასიის ჭერქვეშ". ხუთი დღის განმავლობაში ლტოლვილმა ბავშვებმა დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობები, სახელოსნოებში ეწვივნენ ქართველ მხატვრებს, დაესწრნენ სპექტაკლებს, დამეგობრდნენ. ღონისძიება ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ დააფინანსა. ამ წამოწყებამ გაგრძელება ჰპოვა. ჩვენმა ხუთმა ლტოლვილმა ბავშვმა სომხეთის წითელი ჯვრის მიწვევით სომხეთში მთის ბანაკში დაისვენა. სომხეთის წითელი ჯვარი აპირებს გაისად ლტოლვილ ბავშვთა ნახატების გამოფენის ოცდათხუთმეტივე მონაწილე მიიწვიოს ამავე ბანაკში დასასვენებლად.

თბილისის ზღვის პანსიონატში, სადაც აფხაზეთიდან ლტოლვილები ცხოვრობენ, გახსნილია ხელოვნების სტუდია. აქ ბავშვები სწავლობენ ხატვას, მუსიკას, ხელსაქმეს... ფინანსური დახმარება ამ სტუდიის გახსნაში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ გაგვიწია, სტუდიის მოწყობა-გარემონტება კი ორგანიზაციებმა UNHCR-მა და Nueva Frontiera-ნ იდეს თავს.

– ბავშვის უფლებათა დაცვის მხრივ რას საქმიანობს თქვენი ორგანიზაცია?

– ჩვენ აღრიცხვაზე გვაქვს ბავშვთა უფლებების დარღვევის ყოველი ფაქტი. ეს სპეციალურ ჯგუფს აქვს დავალებული. რაც შეეხება თეორიულ მხარეს, ჩვენ მიზნად დავისახეთ, ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის ყოველი მუხლისათვის მოვამზადოთ კომენტარი პოპულარულ ენაზე.

კომენტარი 6-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული. ზოგი ამ მუხლთაგანი ისეთი ენით არის დაწერილი, რომ ბავშვს კი არა, ზოგჯერ უფროსებს უჭირთ მათი არსის გაგება. კომენტარი ნახატითაც იქნება გაშიფრული. საბოლოო ჯამში კი, თუ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც დააფინანსებენ ჩვენს იდეას, ბავშვები მიიღებენ კონვენციას საინტერესო და დასურათხატებულ წიგნის სახით. თუ ეს წიგნი გამოიცემა, განზრახული გვაქვს ტირაჟის ნაწილი უფასოდ დავურიგოთ გაჭირვებულ ბავშვებს.

**– მოდით, ისევ ცენტრს დავუბრუნდეთ. თვითონ ბავშვებმა როგორ აღიქვეს მისი შექმნა?**

– სიხარულით, სიხარულით აღიქვეს, სულ გვეკითხებოდნენ რა, მართლა მექნება ჩემი საკუთარი საწოლი, საკუთარი კარადაო? რომ ნახეს როგორ ვღელავდით სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, აქაურობას რა მოარჯულებსო, გვაწყნარებდნენ, ჩვენ ყველაფერში მოგეხმარებითო და მართლაც ასე მოხდა.

ცენტრის შინაგანაწესი მკაცრი გახლავთ: არ შეიძლება მოწევა, აუცილებელია სისუფთავის დაცვა, დადგენილ დროზე დაძინება... აქ ბავშვები თავისი სურვილით მოვლენ ხოლმე. ვფიქრობთ, ასეთები მრავლად გამოჩნდებიან, ჩვენ ხომ მათ ცხოვრების შეცვლას ვთავაზობთ, მერე კი თვითონვე უნდა გადაწყვიტონ. ჩვენს ცენტრში ბავშვები მანამ დარჩებიან, ვიდრე მათ შრომით დასაქმებას მოვახერხებთ და საცხოვრებელს ვუშოვით.

საუბარს უძღვებოდა
ტატა ბიზანიშვილი

C&E **ქუჩის ბავშვები აღარ უნდა გვყავდეს!** C&E

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფაქტი

## საინფორმაციო სააგენტო ფაქტი



***

165 საინგილოელმა ქართველმა ბავშვმა სამი კვირა დაჰყო ზესტაფონის წმინდა ბარბარეს სახელობის სასულიერო ბანაკში. ამ ხნის განმავლობაში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ქართულ კულტურას, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, მოენახულებინათ ეკლესია-მონასტრები. აზერბაიჯანის კახის რაიონის მკვიდრი პატარა ქართველები დაესწრნენ ზესტაფონის თეატრში გამართულ ჯანსულ ჩარკვიანის პოეზიის საღამოს, ადგილობრივი მუსიკალური კოლექტივების კონცერტს, ეწვივნენ ბაგრატსა და გელათს, იყვნენ აჭარაში. ბანაკში ყოფნისას 225 ინგილო ბავშვი ქრისტიანად მოინათლა და შორეულ წინაპართა სარწმუნოებას ეზიარა.

***

საინტერესოდ მუშაობს ბაკურიანის საშუალო სკოლის მერვეკლასელ ბუნების ქომაგთა საზოგადოება "ცხრაწყარო". მისმა წევრებმა ამ შემოდგომაზეც ბევრი კეთილი საქმე გააკეთეს. კიდევ ერთხელ დაიარეს ბაკურიანის წარმტაცი შემოგარენი, მიესათუთნენ ყოველ ხესა თუ ყვავილს, შეაგროვეს და ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში გადარგეს მცენარეები, რომლებსაც გადაშენება ემუქრება.

***

ორი დაუვიწყარი კვირა გაატარა დარიალის ხეობაში 12-15 წლის ასაკის 100-მდე ბავშვმა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრის ბანაკი ამჯერად ყაზბეგის რაიონის ულამაზეს სოფელ გველეთში იყო მოწყობილი. აქ გოგო-ბიჭები კოტეჯებსა და კარვებში ცხოვრობდნენ, ეცნობოდნენ ამ კუთხის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ბუნებას, ატარებდნენ ვიქტორინებს, სპორტულ შეჯიბრებებს.

***

თბილისის 149-ე საშუალო სკოლაში (თემქის დასახლება, XI მიკრო რაიონი) გაიხსნა სამლოცველო. სკოლის შესასვლელშივე, ერთ პატარა ოთახში განლაგებული სამლოცველო ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს ამავე სკოლის აღზრდილმა, ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის დეკანოზმა მამა გიორგი საბიაშვილმა და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარმა მამა სიმონ მძინარიშვილმა.

***

მხატვრულ ტანვარჯიშში ეროვნულ ჩემპიონატზე უფროს ასაკში (1982 წ. და უფრო ადრე დაბადებულები) აბსოლუტური პირველობა რუსთაველმა მეათეკლასელმა ინგა თაიდიშვილმა მოიპოვა, მეორე ადგილზე ბათუმელი მოსწავლე ვანდა კერესელიძე გავიდა. უმცროს ასაკში (1983-85 წწ. დაბ.) ყველას თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ნინო გედევანიშვილმა აჯობა, მეორე ადგილი კი ასევე თბილისელ ნანა ვაშაძეს ერგო. ნინო გედევანიშვილმა ახლახან იზმირში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირშიც ისახელა თავი და სამ ფინალში (სახტუნელათი, რგოლითა და გურზებით ვარჯიში) მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

***

თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ მსოფლიო ხალხთა ცეკვების ბავშვთა I საერთაშორისო ფესტივალში საქართველოში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების ნორჩმა მოცეკვავეებმა მიიღეს მონაწილეობა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სუიტა "ქართლის დედა" ქართული, ბერძნული "სირტაკის", სომხური "შურჩპარის", ოსური "სიმდის" და სხვა ცეკვების შემსრულებლები. ფესტივალის მონაწილენი დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და პრიზებით "ოქროს ირემი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვულოცავთ!

ჩვენი ჟურნალის მხატვარ-რედაქტორს ბატონ გაიოზ ფოცხიშვილს 80 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ მას "ნაკადულის" ყველა თაობის თანამშრომლებისა და მკითხველების სახელით, ვუსურვებთ მხნეობასა და ჯანმრთელობას მრავალჟამიერ.

ნახევარი საუკუნე, 48 წელია მუშაობს ბატონი გაიოზი "ნაკადულში" და გასაოცარი ერთგულებითა და სიყვარულით აკეთებს ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ საქმეს. ჟურნალის 600-მდე ნომერი მომზადდა ამ ხნის განმავლობაში მისი ხელით და არ იფიქროთ, რომ რომელიმე მათგანის გაფორმება მიეფუჩეჩებინოს რაიმე მიზეზით. თითოეული ნომრის მაკეტი, ყველა ხაზი, ყოველი ილუსტრაცია, თავსართი თუ სასათაურო შრიფტის ასო ერთნაირად ფაქიზად, სიყვარულით არის შესრულებული. საქმისადმი უპასუხისმგებლობა თვითონაც ხომ არასდროს გამოუჩენია, მაგრამ არც სხვას აპატიებს ვინმეს.

მხატვრებსაც, მწერლებსაც, პოეტებსაც ერთნაირად მოუხაროდათ მაშინდელი "პიონერის" რედაქციაში, ყველა სიამოვნებით თანამშრომლობდა ჟურნალში და ეს თქვენი მადლიცაა, ბატონო გაიოზ. უთუოდ თქვენი ადამიანური წესიერება, გულითადობა და პროფესიული თვისებებიც იზიდავდა მათ.

ჩვენო ბატონო გაიოზ, მუდამ ასეთი კეთილი, ლამაზი, პირღიმილიანი, გურულად ენამახვილი და თუნდაც ზოგჯერ გურულადვე ფიცხი გვენახეთ. გილოცავთ, გეფერებით და გვინდა, რომ ყოველთვის ჩვენ გვერდით იყოთ!





# სიტყვის კონა



**ხიჩატელი** — გარეული ხილის (პანტა, მაჟალო, ქოლო, ზღმარტლი) ზოგადი სახელი.



**კალნაბი** — ყვავილოვანი კომბოსტო. Цветная капуста.

**ნურა** — ბალნის გასაცვენი წამალი. იხმარება აბანოში; ერთგვარი ფხვნილი, წყალში ასვრიან, გახდება ტალახივით, ისვამენ მშრალ ტანზე, შემდეგ იბანენ და ბალანს აცლის. ახლა ამ წამალს ქართულადაც და რუსულადაც ტარო ჰქვია. ჩვენი წინაპრები კი მას ნურას ეძახდნენ. "ერთმან იხუმრა: ვიბანებ ტფილის აბანოს ნურითა".

(დ. გურამიშვილი)



*უთუოდ ყველას წაკითხული გექნებათ დიდებული ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის "ტომ სოიერის თავგადასავალი", "ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი", "უფლისწული და მათხოვარი", "ცხოვრება მისისიპიზე" და სხვა. ხოლო მის მოთხრობას, "სკოლის ბორცვზე" შეიძლება თითო-ოროლა თქვენგანი იცნობდეს. საქმე ის არის, რომ მწერლის ეს ნაწარმოები, ისევე როგორც სხვა მისი თხზულებები, კარგა ხანს სეიფში ინახებოდა. მარკ ტვენის ანდერძის თანახმად იგი მისი გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო. ასეც მოხდა. "სკოლის ბორცვზე" პირველად 1969 წელს დაიბეჭდა. დღეს ჩვენ შემოკლებული სახით გთავაზობთ ამ მშვენიერ მოთხრობას და შეგახსენებთ, რომ დღემდე ის არ ყოფილა ქართულად თარგმნილი.*


მარკ ტვენი

# სკოლის ბორცვზე

ეს არც მეტი, არც ნაკლები — ორმოცდაათი წლის წინათ მოხდა. ზამთრის ერთ სუსხიან დილით სოფელ პიტსბურგის გოგო-ბიჭები ნელ-ნელა მიუყვებოდნენ ბორცვის მოყინულ კალთას. კარგა ხანს უნდა ევლოთ, ვიდრე ბორცვის თავზე მდებარე სკოლამდე მიაღწევდნენ. გაავებული ცოფიანი ქარი ხან ერთი მხრიდან დაეძგერებოდა ბავშვებს, ხან მეორედან, ყინულით შებოჭილი და თოვლით დაფარული მიწა კი ვერაფერი საიმედო საყრდენი იყო. დრო და დრო რომელიმე ბიჭს, ბორცვის თავს რომ მიაღწევდა და გაიფიქრებდა, მეშველა, ამოვაღწიეო, სწორედ მაშინ აუცურდებოდა მოულოდნელად ფეხი, მის დანახვაზე ზევით მიმავალი მოსწავლეები გზას უთმობდნენ, და ქვევით ჩაქროლილს ზურგში მხიარულ ტაშს მიაყოლებდნენ ხოლმე. წამიც და ბიჭი ბორცვის ძირში აღმოჩნდებოდა და ხელახლა იწყებდა ამობობღებას. მაგრამ ეს ყოველივე გართობა იყო თვითონ ამ ბიჭისთვისაც და დანარჩენებისთვისაც. მოსწავლეები ხომ უდარდელები არიან, მაშინაც კი არ უტოკდებათ გული, როცა ხიფათი შეემთხვევათ ხოლმე.

სიდ სოიერს, კარგ ბიჭს, სამაგალითოს, წინდახედულს, ერთხელაც არ დასცურებია ფეხი და არ წაქცეულა. მას არც ციგა წამოუთრევია თან, გზასაც საგულდაგულოდ, დიდი სიფრთხილით ირჩევდა, თუმცა კი ტომ სოიერი ციგას მიათრევდა, იმანაც თავგადასავლის გარეშე მიაღწია სკოლას, იმიტომ რომ გვერდით ჰეკ ფინი ჰყავდა, რომელიც ყოველთვის მზად იყო მის დასახმარებლად. იმ დღეებში ის ჯერ კიდევ არ სწავლობდა სკოლაში და უბრალოდ, მეგობრის ხათრით დადიოდა აქ.

ჰენრი ბასკომმაც მშვიდობიანად ამოაღწია. ეს საძაგელი ბიჭი, მდიდარი მონებით მოვაჭრის შვილი, ყოველთვის ტრაბახობდა ჩასაცმელ-დასახურით. სახლში მას ყველა მოწყობილობით აღჭურვილი სასაკლაო ჰქონდა, ნამდვილი სასაკლაო მინიატურაში და იგი საკუთარი ხელით კლავდა ლეკვებს და კნუტებს. კლასში ის თავკაცი იყო. სუსტებსა და მხდალებს ეშინოდათ მისი და ეპირფერებოდნენ. სიყვარულით კი ჰენრი ბასკომი არავის უყვარდა. სკოლამდე მან იმიტომ მიაღწია უხიფათოდ, რომ შავკანიანი მსახური ჯეიკი ეხმარებოდა მთებზე ასვლაში და მის ციგასაც ის მიათრევდა. თვითნაკეთს კი არა, მაღაზიაში ნაყიდს, გაპრიალებულსა და შეღებილს, რკინის სალტეებშემოვლებულს. მთელ პიტსბურგში მარტო მას ჰქონდა ასეთი ციგა, ქალაქ სენტ-ლუიდან ჩამოუტანეს.

ბოლოს, როგორც იქნა, ყველა მოსწავლემ მოიყარა თავი, აწითლებულები და გათოშილები სულს ძლივს ითქვამდნენ. გოგონები სკოლაში შევიდნენ, ბიჭები ქუჩაში შეგროვდნენ და იქვე ტრიალებდნენ და სწორედ მაშინ დაინახეს ახალი ბიჭი. ეს კი მეტისმეტად საინტერესო ამბავი იყო. სოფელში ახალი ადამიანის გამოჩენა ხომ უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ცაში კომეტისა. შესახედად ახალი ბიჭი თხუთმეტი წლისა იქნებოდა. გამოწკეპილი იყო. მდიდრულად არა, მაგრამ კოხტად და კარგი გემოვნებით ეცვა. ნათელი, სანდომიანი სახე, მშვენიერი, ღრმა და ალერსიანი თვალები ჰქონდა. მთელ მის იერში თავდაჭერილობა და კეთილშობილება, სიკეთე და მომხიბვლელობა იგრძნობოდა. ბიჭების უმრავლესობა სასიამოვნოდ იყო გაოცებული: იგი ზღაპრულ უფლისწულს ჰგავდა. სოფლური გულწრფელობით მიაჩერდნენ ახალ მოსწავლეს, მაგრამ ჰენრი ბასკომმა ბიჭები მისწი-მოსწია, თავით ფეხამდე აათვალიერ-

ჩაათვალიერა იგი და გამომწვევად ჰკითხა:

— ვინა ხარ? რა გქვია?

ახალმა ბიჭმა თავი გადააქნია, ვერ გავიგე, რას მეკითხებიო?

— რა, ლაყრუედი? მიპასუხე!

ბიჭმა ისევ გაუქნია თავი.

— მიპასუხე-მეთქი, მე შენ გეუბნები! თორემ რომ მოგდებ კისერში!

აქ ტომ სოიერი ჩაერია.

— მოიცა ბასკომ, ეს რა პატიოსნებაა. თუ გინდა დასვენებას არ დაელოდო, როგორც ეს მიღებულია და ახლავე ეჩხუბო, მაშინ, როგორც დაკანონებული გვაქვს, ისე მოიქეცი... მხარზე რაიმე დაიდე, ამან კი ჩამოგიგდოს.

— კარგი. უნდა თუ არა, მე მაინც ვაიძულებ, მეჩხუბოს, ახლავე, აქვე, ფეხის მოუცვლელად!

ბასკომმა მხარზე ყინულის ნაჭერი დაიდო და უთხრა:

— აბა, სცადე და ჩამომიგდე!

ახალი ბიჭი ვერაფერს მიხვდა. მაშინ ტომმა ნაბიჯი წინ წადგა და ბიჭს აჩვენა, როგორ უნდა მოქცეულიყო, მხარზე ყინული დაიდო, მერე ჩამოაგდო და ანიშნა, შენც ასე უნდა გააკეთოო. ბიჭმა გაიღიმა და თითი შეახო ყინულს ბასკომის მხარზე. ბასკომმა უმალ ხელი მოუქნია, სახეში უნდა გაერტყა, მაგრამ ააცდინა, ფეხი დაუსრიალდა და გულაღმა გადავარდა, მთის კალთაზე დაცურდა. ირგვლივ ხარხარი ატყდა.

ამასობაში ზარიც დაირეკა და ბიჭები კლასში შეცვივდნენ. ყველა თავ-თავისი ადგილის დაკავებას ეშურებოდა. უცნობი ცარიელ მერხზე დაჯდა და უმალ აჩურჩულებული გოგონების გაოცებული თვალების სამიზნედ იქცა.

გაკვეთილი დაიწყო. მოხუცმა შოტლანდიელმა მასწავლებელმა არჩიბალდ ფერგიუსონმა მაგიდაზე საჩვენებელი ჯოხი დააკაკუნა, მერე კათედრაზე ავიდა და მოთენთილი ხმით გამოაცხადა:

— ვილოცოთ!

მოკლე ლოცვის შემდეგ გაკვეთილი დაიწყო. კლასი აზუზუნდა, მოსწავლეები გამრავლების ტაბულას იმეორებდნენ. თორმეტჯერ თორმეტამდე რომ გაიმეორეს, გრიფელის დაფები ამოიღეს და არითმეტიკის ამოცანების ამოხსნას შეუდგნენ. მასწავლებელმა ზოგს შენიშვნა მისცა, ზოგი შეაქო. მერე მოსწავლეები ენადგაკრეფილ თუთიყუშებს დაემსგავსნენ, რომლებმაც ყველა გრამატიკული წესი იცოდნენ, ერთის გარდა: როგორ გამოეყენებინათ ეს წესები ჩვეულებრივ საუბარში.

— კარნახი! — გამოაცხადა მასწავლებელმა.

მან კლასს თვალი გადაავლო და გაოცებულმა მზერა ახალ მოსწავლეზე შეაჩერა.

— ჰმ, ახალი მოსწავლე გვყავს? რა გქვია, ბიჭი?

ახალი მოსწავლე წამოდგა, თავაზიანად დაუკრა მასწავლებელს თავი და უპასუხა:

— პარდონ, მესიე, ჟე ნე კომპრან პა.

ფერგიუსონმა გაკვირვებით შეხედა ბიჭს და ფრანგულად უთხრა:

— ო, შენ ფრანგი ყოფილხარ, ძალიან სასიამოვნოა! კარგა ხანია, ფრანგული ლაპარაკი აღარ გამიგონია. მთელ სოფელში მარტო მე ვიცი ეს ენა. კეთილი იყოს შენი მობრძანება, კეთილი იყოს! მოხარული ვიქნები, თუ სალაპარაკო პრაქტიკის საშუალება მომეცემა. მაშასადამე, შენ ინგლისური არ იცი?

— არც ერთი სიტყვა, სერ, — უპასუხა ბიჭმა ფრანგულად.

— რას იზამ, უნდა ისწავლო, შრომა მოგიწევს.

— სიამოვნებით, სერ.

— რეგულარულად აპირებ სკოლაში სიარულს?

— თუ ნებას მომცემთ, სერ.

— ძალიან კარგი, უწინარეს ყოვლისა, ინგლისურ ენას მოჰკიდე ხელი. გრამატიკაში ოცდაათამდე წესია, ყველა მათგანი ზეპირად უნდა ისწავლო.

— მე უკვე ვისწავლე ეს წესები, სერ. ოღონდ ზოგი სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცი.

— რა?! როგორ? როდის მოასწარი?

— ვუსმენდი, კლასი კარნახის დაწყებამდე ხმამაღლა რომ იმეორებდა წესებს.

მასწავლებელი ერთხანს შეცბუნებული დააცქერდა ბიჭს, მერე კი უთხრა:

— თუ არც ერთი ინგლისური სიტყვა არ იცი, როგორ მიხვდი, რომ ეს გრამატიკის გაკვეთილია?

— ფრანგულს ჰგავს... თანაც სიტყვა "გრამატიკამ" მიმახვედრა, სერ.

— მართალია, გეტყობა, გონება გიჭრის, წესებსაც მალე ისწავლი.

— მე უკვე ზეპირად ვიცი ისინი, სერ.

— შეუძლებელია! სისულელეს როშავ!

ბიჭმა თავაზიანად დაუკრა თავი, მასწავლებელს, მაგრამ არ შესიტყვებია.

მასწავლებელმა თავი დამნაშავედ იგრძნო და რბილად უთხრა:

— ცხადია, ასე არ უნდა მეთქვა, მაპატიე, დაივიწყე ჩემი სი-

# სკოლის ბორცვზე

ტყვები, ბიჭი, ახლა კი მოდი, გრამატიკის წესები გაიმეორე, როგორც შეძლებ, შეცდომებზე ნუ იფიქრებ.

ბიჭმა ადვილად დაიწყო, სხაპასხუპით წარმოთქვამდა წესებს, მასწავლებელი და მოსწავლეები კი სულგანაბულები და პირდაღებულნი უსმენდნენ. რომ დაამთავრა, ბიჭმა თავაზიანად დახარა თავი, არ დამჯდარა, ისე უცდიდა მასწავლებლის სიტყვას. ფერგიუსონი ორიოდ წუთი უხმოდ იჯდა თავის სავარძელში, მერე კი ბიჭს მიმართა.

— მართლა არ იცოდი ეს წესები აქ მოსვლამდე?

— დიახ, სერ.

— ღმერთმანი, მზად ვარ დაგიჯერო. სახეზე ალალმართლობა გაწერია. მაგრამ არა, ვერა, ვერაფრით... ეს ჩემს ძალებს აღემატება.

ასეთი მეხსიერება და ასეთი სმენა!.. ეს უბრალოდ შეუძლებელია! არავის დედამიწის ზურგზე, არც ერთ ადამიანს არა აქვს შენნაირი მეხსიერება!

ბიჭმა კვლავ თავაზიანად დახარა თავი და არაფერი უთქვამს. მოხუც მასწავლებელს საკუთარი სიტყვების შერცხვა და დასძინა:

— ცხადია, მე იმის თქმა არ მინდოდა... სულაც არ მინდოდა... ჰმ, ერთი მითხარი, გეთაყვა... ხომ ვერ დაგვიმტკიცებდი... მაგალითად, სხვა საგანში თუ შეგიძლია იგივეს გაკეთება. აბა სცადე, კარგი?

ბიჭმა აუღელვებლად, მოჩვენებითი თავმდაბლობის გარეშე გაიმეორა ყველაფერი, რაც მასწავლებელმა და მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე ილაპარაკეს, ამასთან თითოეული მათგანის ხმასა და მანერასაც ბაძავდა.

წარმოუდგენელი რამ იყო! ბიჭს არ გამორჩენია არც ერთი მოძრაობა, არც ერთი სიტყვა და მზერა.

... ბოლოს მასწავლებელმა თქვა:

— ეს ყველაზე საოცარი რამაა, რაც კი მე მინახავს. არავის დედამიწის ზურგზე არა აქვს შენნაირი ტალანტი, ჩემო პატარავ. ღმერთს მადლობა უთხარი ტალანტისა და კეთილშობილი თავმდაბლობისათვის... რამდენ ხანს შეგიძლია ეს ყოველივე მეხსიერებაში შეინარჩუნო?



— მე არასოდეს არ მავიწყდება ის, რაც მინახავს და მომისმენია, სერ.

— წარმოუდგენელია! დაუჯერებელია! მოდი, ერთი გამოგცდი ისე, ინტერესის გულისათვის. აბა, აიღე ეს ინგლისურ-ფრანგული ლექსიკონი და წაიკითხე, ჩვენ კი წავიმეცადინებთ, ხელს ხომ არ შეგიშლით?

— არა, სერ.

ბიჭმა ლექსიკონი აიღო და მის ფურცელ-ფურცელ კითხვას შეუდგა. ჩაათავებდა გვერდს და შემდეგზე გადადიოდა.

კლასი, ერთ საგანს რომ მორჩა, მეორეზე გადავიდა, მერე მესამეზე, მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენ შეცდომას უშვებდნენ მოსწავლეები! ეს იმიტომ, რომ ყველა ახალ მოსწავლეს მისჩერებოდა აღფრთოვანებული თვალებით. ოცი წუთის შემდეგ ბიჭმა წიგნი დახურა. ფერგიუსონმა, ეს რომ შეამჩნია, ერთგვარი გულდაწყვეტით უთხრა:

— მაპატიე, მაგრამ, ვხედავ, არ გაინტერესებს!

ბიჭი წამოდგა და უპასუხა:

— ო, სერ, პირიქით! აქ ერთი და იგივე სიტყვები ფრანგულადაც არის დაწერილი და ინგლისურადაც. ახლა მე თქვენი ერის სიტყვებიც ვიცი. ცოტა გამოთქმაში მოვიკოჭლებ, თორემ ისე...

— სიტყვები ვიცი?! მაინც რამდენი სიტყვა დაიმახსოვრე?

— ყველა, სერ.

— კი მაგრამ აქ ექვსას ორმოცდახუთი გვერდია, ასეთ მოკლე დროში მეათედსაც ვერ გადახედავდი... გვერდი ორ წამში? შეუძლებელია...

ბიჭი არ შესიტყვებია, თავა-

ზიანად თავდახრილი იდგა.

— ჰმ, მომიტევე, ეტყობა, თავაზიანობას უნდა დაგესესხო. მომეცი ერთი ეგ წიგნი, დავიწყოთ.

და კვლავ სასწაული მოხდა. ბიჭის პირიდან ჩანჩქერივით გადმოხეთქა სიტყვებმა, მათმა განმარტებებმა, წინადადების წევრთა სახელწოდებებმა, მაგალითებმა. ბიჭმა ყველაფერი გაიმეორა, გაიმეორა ისე, რომ არაფერი გამორჩენია, გამოთქმაც კი შედარებით სწორი ჰქონდა, თითქმის ისეთი, ლექსიკონში რომ იყო მითითებული.

მასწავლებელი და მოსწავლეები კრძალვით და აღტაცებით მისჩერებოდნენ მშვენიერ უცნობს. ხმას ვერ იღებდნენ.

... ჩამოვარდნილი სიჩუმე მასწავლებლის ხმამ დაარღვია:

— ბიჭო, შენ სასწაული ხარ!.. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ ამერიკაში, ვინც ყველა ინგლისური სიტყვა იცის. დაგიწმინდავდეს ეს სიტყვები გონებაში, სინტაქსური აგებულება კი თავისთავად მოვა. ახლა ლათინურს მოჰკიდე ხელი, მერე ბერძნულს, მათემატიკას და სტენოგრაფიას. თითოეული საგნისათვის ოცდაათ-ოცდაათ წუთს გაძლევ. ამით დამთავრდება შენი განათლება. მაგრამ, ერთი ეს მითხარი, როგორ ახერხებ ყველაფრის დამახსოვრებას? ნეტავ, რა მეთოდი გაქვს? ისე ნთქავ წიგნის გვერდებს, თითქოს სასკოლო დაფაზე დაწერილი ციფრების სვეტებს შლიდე. გაიგე, რაც ინგლისურად გითხარი?

— დიახ, მასწავლებელო... გავიგე... მე არავითარი საიდუმლო არა მაქვს. მთელ გვერდს ვავლებ თვალს... ეს არის და ეს.

— შენ რა, ერთი თვალის შევლებით ხედავ მთელ გვერდს?

— დიახ. ზუსტად ასევე ვხედავ მთელ კლასს და შემიძლია მაშინვე ვთქვა, ვის რა აცვია, ვის როგორი გამომეტყველება აქვს, როგორი თვალები, ცხვირი, თმა, შეკრული აქვს თუ არა ფეხსაცმლის თასმები. მეორედ შეხედვა არ მჭირდება.

ამ სიტყვებზე კლასის მოპირდაპირე კუთხეში მჯდომმა მარგარეტ სტოვერმა სასწრაფოდ შემალა თასმებგახსნილ ფეხსაცმლიანი ფეხები მაგიდის ქვეშ.

— მე ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე, ერთი თვალის გადავლებით შეეძლოს ათასი წვრილმანის მეხსიერებაში აღბეჭდვა. იქნებ, ისეთმა უცნაურმა არსებამ, ჭრიჭინა რომ არის, კი მოახერხოს ამის გაკეთება, მაგრამ აქ სხვა ამბავია — ჭრიჭინას თორმეტი ათასი თვალი აქვს. ჰო, ერთი სიტყვით, ლათინურს მოჰკიდე ხელი, ჩემო პატარავ, — უთხრა მასწავლებელმა და ოხვრით დასძინა: — ჩვენ კი, ჩვენი უბადრუკი მონაცემების პატრონებმა ისევ სახელმძღვანელოებს უნდა ვანთხიოთ ტვინი.

ბიჭმა წიგნი აიღო. ისე სწრაფად ფურცლავდა, თითქოს თვლიდა, რამდენი გვერდიაო. კლასი შეფარული ნიშნის მოგებით უთვალთვალებდა ჰენრი ბასკომს და ჩუმად ხარობდა, რადგან ხედავდა, რომ იგი აშკარად გაწბილებული იყო. მოსწავლეთაგან ხომ მხოლოდ მან იცოდა ლათინური და ძალიანაც მოსწონდა ამით თავი.

კლასი ზუზუნებდა და ღელავდა. მოსწავლეებს ახალბედისადმი შურის გრძნობა შეეპარათ. ნახევარი საათი გავიდა და კლასმა დაინახა, როგორ გადადო ბიჭმა ლათინურის სახელმძღვანელო გვერდზე და ბერძნულზე გადავიდა.

ბერძნულს მათემატიკა მიაყოლა, მერე "სტენოგრაფიის ახალი მეთოდის" რიგიც მოვიდა. ამ საგნის ასათვისებლად ერთი წუთი და ოცი წამი დასჭირდა. მასწავლებელმა ეს შენიშნა და ჰკითხა:

— რა, სტენოგრაფიას მორჩი?

— იგი მარტივ კანონებს ეფუძნება, სერ. მათი გამოყენება ისევე ადვილია, როგორც არითმეტიკის წესებისა. თანაც აქ მრავალი მაგალითი და ისეთი ინგლისური სიტყვების შეთანხმებაა, რომლებშიც ხმოვნები გამორიცხულია. ეს სისტემა საოცრად მარტივი, ზუსტი და მკაფიოა. იგი ბერძნული და ლათინური მეტყველების ჩაწერის საშუალებას იძლევა.

— ჰმ, შენი ინგლისური თვალდათვალ იხვეწება, ჩემო ბიჭო!

— დიახ, სერ! აქ წაკითხული წიგნები დამეხმარა მისი ენობრივი ფორმები დამეხვეწა.

— მე აღარაფერი მიკვირს. მოდი დაფასთან, მინდა ვნახო, როგორ გამოიყურება ბერძნული ენის სტენოგრაფიული ჩანაწერი. მე რამდენიმე ნაწყვეტს გიკარნახებ, შენ კი ჩაიწერე.

ბიჭმა ცარცი აიღო და გამოცდაც დაიწყო. მასწავლებელი თავიდან ნელა კარნახობდა. მერე კი სულ უფრო ჩქარა და ჩქარა. ბიჭი ყველაფერს ადვილად იწერდა. მასწავლებელი ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე გადავიდა — ბიჭი ამასაც ასწრებდა.

— საოცარია, შვილო ჩემო... გასაოგნებლად საოცარი! კიდევ ერთი სასწაული და მე ფარხმალს ვყრი. აი ციფრების სვეტებით შევსებული ფურცელი. გაამრავლე ეს რიცხვები. მე ერთი მეფოკუსე მყავს ნანახი, იგი ამას

## სქოლის შორცვზე

სამნახევარ წუთში აკეთებდა. ჯამი ცნობილია! მაშ ასე, ვინიშნავ დროს!

ახალმა მოსწავლემ ერთი კი დახედა ფურცელს, თავაზიანად დახარა თავი და თქვა:

— ოთხი მილიონ რვაას სამოცდახუთი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი, სერ, თუ, რა თქმა უნდა, ზევიდან მეხუთე სტრიქონში ბუნდოვნად დაწერილი ოცდამესამე ციფრი ცხრიანია და არა შვიდიანი.

— სწორია, რეკორდი მოხსნილია, და შენ იმის შემჩნევაც მოასწარი, რომელ ადგილზეა ბუნდოვანი ცხრიანი?! მოიცა ერთი, ვნახო, შენ ამბობ, ზევიდან მეხუთე სტრიქონში ოცდამესამეო? ჰო, აი ისიც, მართლაც გაურკვეველია შვიდიანია თუ ცხრიანი. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, პასუხი მაინც სწორია...

ო-ო, ნუთუ ჩემი საათი ტყუის? რა ხანია შუადღეს გადასცილებია. ჩვენ კი სადილი არც გაგვხსენებია. ჩემი სკოლაში მუშაობის ოცდაათი წლის მანძილზე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ჭეშმარიტად, დღეს სასწაულების დღეა! ბავშვებო, შეგიძლიათ, შინ წახვიდეთ. ჰო... მაინც რა გქვია, ჩემო პატარა ჯადოქარო?

მოსწავლეები ახალ ბიჭს შემოეხვივნენ, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდათ, შურით ავსავსე თვალებით მისჩერებოდნენ. მარტო დაბოღმილი ბასკომი იდგა განზე.

— კვარანტ-კვატრო, სერ, ორმოცდამეოთხე.

— როგორაო? ეს ხომ რიგითი ნომერია და არა სახელი.

ბიჭმა თავაზიანად დახარა თავი. მასწავლებელმა განაგრძო:

— ჩვენს მხარეში როდის ჩამოხვედი?

— გუშინ საღამოს, სერ.

— ნათესავები გყავს აქ?

— არა, სერ, არავინ.



— აბა, სად ცხოვრობ?

— მისტერ ჰოთჩკინსმა შემიფარა...

— ჰოთჩკინსები დიდებული ხალხია, კეთილი, გულისხმიერი, ვინმემ გააცნო შენი თავი?

— არა, სერ.

— მაშ როგორ გააგებინე?

— ვანიშნე და ისე. ჩემი არსებისადმი გამოჩენილი სიკეთე და თანაგრძნობა დაეხმარათ, მიმიხვდნენ და შემიფარეს, გარეთ ციოდა.

— მართალია, ასეა, შენ კარგად თქვი, ზედმეტი სიტყვების გარეშე. ჰოთჩკინსები ნამდვილად ასეთები არიან. მაშასადამე, შენ შეხვედი და... მერე რა იყო?

ორმოცდამეოთხემ თავაზიანად დახარა თავი.

მასწავლებელმა მოუბოდიშა:

— მაპატიე, მაპატიე...

— გთხოვ, დაივიწყო... ძალიან მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოხვედი, მადლობელი ვარ შენი ამისათვის.

— გმადლობთ, სერ.

— როგორც მასწავლებელი, მე ვალდებული ვიყავი გამოგლაპარაკებოდი, ვიდრე შენ წახვიდოდი, ამიტომაც გამოგკითხე. ჩათვალე, რომ ბოდიშს გიხდი. ადიე!

— მშვიდობით, მასწავლებელო!

კლასი დაცარიელდა, მაგრამ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის შესაფერისი საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე მოხუცი ფერგიუსონი ერთხანს კიდევ დადიოდა მერხებს შორის.

გოგონებმა იტარტარეს, ენები მოიქავეს და მალევე დაიშალნენ, რათა რაც შეიძლება ჩქარა მისულიყვნენ შინ და იმ სასწაულებზე ეამბნათ, მათ თვალწინ რომ მოხდა კლასში. ბიჭები კი სკოლის წინ ტრიალებდნენ უჩუმრად და მოუთმენლად იცდიდნენ. არც სუსხს აქცევდნენ ყურადღებას, ეტყობოდათ, მათი ფიქრები რაღაც ძალზე მნიშვნელოვნით იყო დაკავებული.

ჰენრი ბასკომი განზე იდგა, პარმაღის სიახლოვეს. ახალი მოსწავლე ჯერ კიდევ სკოლაში იყო. ტომ სოიერი მიუახლოვდა მას და მოულოდნელი საშიშროების შესახებ გააფრთხილა.

— ფრთხილად იყავი, იცოდე, გელოდება. ჰენრი ბასკომზე გეუბნები. ერთი ვერაგი და სულმდაბალი ვინმეა.

— მე მელოდება?!

— შენ.

— რისთვის?

— რომ გცემოს.

— რატომ?

— ისე, უბრალოდ. წელს ის არის კლასში წინამძღოლი. შენ კი ახალი ხარ.

— ასეთი ჩვეულება გაქვთ?

— ჰო. სურს თუ არა, უნდა გცემოს. თორემ წინამძღოლი ვეღარ იქნება. თუმცა, უამისოდაც უნდა მიგქეჯოს, მაგრად დაიბოღმა შენი ლათინურის გამო.

---

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**ერთი თქვენთაგანი**

# პიკასო, დალი და ბესო ყაზაიშვილი

თითქოს თავიდან პატარა ბესოც თავისი და-ძმებივით, მრავალი და მრავალი თავისი თანა-




ტოლივით ხატავდა სასაცილო კაცუნებს, მოცინარ მზეს, თვითმფრინავებს, ბურთს... მერე და მერე კი გაოცებულმა უფროსებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ბიჭი რაღაც სხვანაირად, უცნაურად ხატავდა. ყოველი მისი ნამუშევარი აზროვნების, ხედვის უჩვეულობაზე მეტყველებდა და მხოლოდ ნახვას კი არ მოითხოვდა, არამედ დაფიქრებას, ჩაწვდომას, გააზრებას, მარტო გაოცებას და აღტაცებას კი არ იწვევდა, არამედ დიდი ნიჭიერებით აღძრულ კრძალვას.

მალე ყაზაიშვილების მრავალი შვილიდან ერთ-ერთზე, ბესოზე მთელი ქუთაისი ალაპარაკდა, ხოლო მერე...

მერე: "ეს ნახატები სამოქალაქო ომსა და სიღარიბეში იშვა. ისინი სიცოცხლესა და სიკვდილს ასახავენ. მხატვარი თერთმეტი წლისაა. ამ პატარა ბიჭის ნიჭმა, რომელიც საქართველოდან, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან არის, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონელ სამხატვრო საქმოსნებზე, რომ ისინი ბესო ყაზაიშვილის უდიდეს ნიჭიერებას გამოფენას უძღვნიან. როი მაილმა, რომელსაც ბრუტინის ქუჩაზე აქვს გალერეა, თქვა: ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, აღმოგვეჩინა გენიოსი". ეს ინგლისურ გაზეთ "თაიმსში" გამოქვეყნებული სტატიის ნაწყვეტია, ასეთივე აღფრთოვანებული მასალები მიუძღვნეს პატარა ქართველ მხატვარს ლონდონში გამომავალმა სხვა გაზეთებმაც – "ინდეპენდენტმა", "სანდეი ინდეპენდენტმა", "ივნინგ სტანდარტმა", "დეილი მეილმა". ამას კი მოჰყვა ფართო გამოხმაურება ევროპის სხვა ქვეყნების, ამერიკის, ავსტრალიის რადიოსა და ტელევიზიაში. გაიყიდა ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გალერეაში გამოფენილი ბესოს ყველა ნამუშევარი.

ბესო ბევრს ხატავს, ხატავს გუაშით, აკვარელით, ზეთის საღებავებით, ინდური მელნით. სადღეისოდ მისი შემოქმედება სამ ათასამდე ნამუშევარს მოიცავს. თვალშისაცემია თვალის მოტივის სიმრავლე, რასაც თავად ბესო ასე ხსნის: "მე იმიტომ ვხატავ თვალს, რომ ის ყველაფერს ხედავს. როდესაც ომებია და ადამიანები კვდებიან, დიდი თვალი მრისხანე ხდება. თვალი კეთილ ხალხს იცავს, მაგრამ თუ ადამიანები ეშმაკს დაუმეგობრდებიან, იგი დასჯის მათ. თვალი ღმერთია".

იქ, ევროპაში, პატარა ქართველი მხატვრის ნიჭის აღმატებული შეფასების გვერდით სხვაც ითქვა. ზოგი მის ხელწერას გენიალურ სალვადორ დალის ადრის, ზოგიც დიდი პიკასოს ზეგავლენის ნაყოფად მიიჩნევს და ურჩევს ბესოს, სხვათა ქმნილებების ასლების გადაღების ნაცვლად საკუთარი გზა მოძებნოს და იმას მისდიოს, მაგრამ თვითონ ბესომ, მისმა ახლობლებმა და ღმერთმა ხომ იციან, რომ ქუთაისელ ბიჭს ინგლისში მოხვედრამდე არც ერთის სახელი გაეგონა და არც მეორის, მათ შემოქმედებაზე ხომ საერთოდ არანაირი წარმოდგენა არ ჰქონია. უბრალოდ, ასე ეხატება და ხატავს, ხატავს, რასაც ხედავს, რასაც განიცდის, რაზეც ფიქრობს, რაც აწუხებს თუ ახარებს, რასაც ფანტაზია, წარმოსახვა კარნახობს.

დღეს ბესო ყაზაიშვილი ლონდონში ცხოვრობს და სწავლობს. ისევ ისე უყვარს საქართველო, მშობლიური ქუთაისი, დედ-მამა, და-ძმა, გიტარა, ფეხბურთი და რაღა თქმა უნდა, ხატვა.





# შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგში...

## ოფიცრობა პრესტიჟული იქნება

ეს დრო წელიწადში ორჯერ დგება – გაზაფხულზე და შემოდგომაზე. წვევამდელები, სკოლის მერხიდან წამომდგარი ბიჭები, მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების თანხლებით უხალისოდ, შეუცნობლის წინაშე შიშის გრძნობით მიემართებიან სამხედრო კომისარიატებისაკენ. მერე კი მათთვის უცხო გარემოში აღმოჩნდებიან, უჩვეულო გაკვეთილებითა და გამოცდებით აღსავსე ცხოვრება დაეწყებათ.

რამდენად მომზადებულები ხვდებიან ჩვენი ბიჭები სამხედრო სამსახურს? შეესატყვისება თუ არა მათი ფიზიკური მომზადების, შეგნების, ცოდნის, ცნობიერების დონე იმ მოთხოვნებს, სამშობლოს მომავალ დამცველებს რომ უყენებს ჯარი?

მოგეხსენებათ, საძირკველი ამ მზადყოფნას საშუალო სკოლაში უნდა ეყრებოდეს. დიახ, უნდა ეყრებოდეს, მაგრამ... თუმცა საქართველოს სკოლებში მესამე წელია განახლდა დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილები, სამხედრო კაბინეტების მწირი აღჭურვილობა, მოძველებული თვალსაჩინოებები და ხშირად პედაგოგიურ ალღოს მოკლებული სამხედრო საქმის ხელმძღვანელები, რბილად რომ ვთქვათ, ხელს ვერ უწყობენ მოზარდების სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. ამ საქმეში ღირსეული ოფიცრების მოზიდვის მიზნით განათლების სამინისტრომ წამოაყენა წინადადება, სამხედრო საქმის მასწავლებლებმა სკოლებში სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა შეითავსონ. თავის მხრივ, თავდაცვის სამინისტრომ მზადყოფნა გამოთქვა საუკეთესო კადრებით უზრუნველყოს განათლების სისტემა. საქმის გაჭიანურება არ ეგების, რადგანაც უმარტივესი ჭეშმარიტებაა – სკოლაში მასწავლებლების სამხედრო მომზადების დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომავალი ახალწვეულების ბედს. ისიც ცხადზე ცხადია, რომ სათანადოდ მომზადებულ ახალწვეულს გაუადვილდება სამხედრო ჩვევების ათვისება და დისციპლინასთან შეგუება.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მოზარდთა პატრიოტული აღზრდის მიზნით სისტემატურად ეწყობა სამხედრო-საველე თამაშობანი, სადაც სპორტული მონაცემებისა და ფიზიკური ძალის გარდა, მოზარდებს საზრიანობისა და მოხერხებულობის გამოვლენის საშუალებაც ეძლევათ. აშშ-ს შეიარაღებული ძალების უდიდეს ბაზებზე კი ასობით მოზარდი ესწრება ჯარის საჩვენებელ-საწვრთნელ ვარჯიშებს. რაღაც ამგვარი ტარდებოდა ხოლმე საბჭოთა ეპოქაში საშუალო სკოლების მოსწავლეებისათვის. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სამხედრო თამაშ "ცისკარს" გარკვეული დადებითი შედეგები მოჰქონდა. ორი წელია, რაც საქართველოს განათლების სამინისტროს წინადადებითა და გადაწყვეტილებით აღდგა ერთგვარად სახეცვლილი "ცისკარი", რომელიც ჯერჯერობით რაიონული მასშტაბებით შემოიფარგლება და როგორც მის ორგანიზატორებსა და თავად მონაწილეებს მიაჩნიათ, თამაშზე გამოვლენილი ცოდნისა და ფიზიკური მომზადების დონე მეტად და მეტად მოკრძალებული გახლავთ.

მეზღვაურის, მფრინავის, მესაზღვრისა თუ ტანკისტის ხიფათითა და თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებაზე მრავალი ახალგაზრდა ოცნებობს. მოწინავე ქვეყნების სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელთ ინტელექტუალური და ფიზიკური მომზადების იმდენად მაღალი დონე მოეთხოვებათ, რომ ბევრი ფიქრსაც კი ვერ ბედავს სამხედრო კარიერაზე. ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე სამხედრო სასწავლებელი არსებობს. ახალწვეულთა სამხედრო სამსახურისთვის მომზადების მიზნით გაიხსნა ორი სასწავლო ცენტრი. მომავალი მესაზღვრეები ექვსთვიან სამხედრო წვრთნას გადიან სასაზღვრო ჯარების ცენტრში, გორის სასწავლო ცენტრში კი გამოცდილი ოფიცრები ეროვნულ ჯარში სამსახურისათვის ამზადებენ ახალწვეულებს, რომლებიც ათმეთაურის – სერჟანტის წოდებით უბრუნდებიან ნაწილებს.

კადეტთა კორპუსი, სადაც 14-15 წლის ჭაბუკები ეზიარებიან სამხედრო საქმესა და ყოფას, გაერთიანებული სამხედრო აკადემიისათვის ამზადებს კადრებს. 1993 წელს დაარსებული ამ აკადემიის პირველი კურსდამთავრებულები უკვე შეუდგნენ სამსახურს ჩვენი ქვეყნის სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო, საჰაერო თავდაცვის ძალებში, საარტილერიო, საინჟინრო-მესანგრეთა, კავშირგაბმულობის ნაწილებში, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში შემავალ შინაგან ჯარებში.

ერთ-ერთ უძველეს, ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ოთხი წლის მანძილზე არსებობდა გაერთიანებული სამხედრო აკადემიის საზღვაო ფაკულტეტი. წელს კი ამ სასწავლო დაწესებულებას სამ-

ხედრო-საზღვაო სასწავლებლის სახელი მიენიჭა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან იგი საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს სხვადასხვა სამსახურების ოფიცრებს მოუმზადებს.

გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში ზუსტი მეცნიერებებისა და ფიზიკური მომზადების გარდა, უდიდესი ყურადღება ექცევა უცხო ენების სწავლებას. აკადემიას მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული ევროპისა და ამერიკის წამყვან სამხედრო სასწავლებლებთან. ამ ურთიერთობების წყალობით მისმა 20 მსმენელმა უკვე მეორედ მიიღო მონაწილეობა აშშ-ში ჩატარებულ სამშვიდობო ჯარების წვრთნაში. სექტემბერში ტაშკენტში ნატოს ჩარჩოებში ჩატარდა ჯარების საერთაშორისო წვრთნა ეგიდით "პარტნიორობა მშვიდობისათვის". ქართული არმიის მომავალმა ოფიცრებმა ამ ღონისძიებაშიც მიიღეს მონაწილეობა და ექსპერტთა მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. დღეს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის 50-ზე მეტი მსმენელი გერმანიის, თურქეთის, უკრაინის, რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში იღრმავებს ცოდნას. მომავალში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. შორს არ არის ის დრო, როცა ქართული ეროვნული არმიის ოფიცრის წოდება ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და პრესტიჟული იქნება, ხოლო ყოველი წვევამდელი ახალგაზრდა ყოველმხრივ მომზადებული შეუდგება სამშობლოს დამცველის ვალის აღსრულებას.

**ნანა მაყაშვილი**

## სამხედრო ლექსიკონი

**ათეული** – 5-10 ჯარისკაცისაგან შემდგარი პირველადი საჯარისო ქვედანაყოფი, რომელსაც, როგორც წესი, სერჟანტი მეთაურობს. რამდენიმე ათეული ოცეულს შეადგენს. ათეული შედის მოტომსროლელ (ქვეით), მესანგრეთა, მეკავშირეთა და სხვა ოცეულებში. მოტომსროლელი ათეული ბრძოლაში ოცეულის შემადგენლობაში მოქმედებს, დაზვერვაში, სალაშქრო და საყარაულო დაცვაში კი შეუძლია დამოუკიდებელი ამოცანაც გადაწყვიტოს.

**არმია** (ფრანგული armee, ლათინური არმო – ვაიარაღებ) 1) სახმელეთო ჯარები; 2) სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 3) სამხედრო ოპერაციის განხორციელებისათვის განკუთვნილი ოპერატიული შენაერთი. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში არმია გულისხმობდა ერთი საომარი მოქმედების ასპარეზზე ერთიანი სარდლობის ხელქვეით თავმოყრილ ჯარებს.

თავდაპირველად არმია ორგანიზაციულად ერთგვაროვანი არ იყო. არმიის შემადგენლობა განისაზღვრებოდა მის წინაშე დასახული ამოცანებით, საომარი მოქმედების ასპარეზის თავისებურებით, მოწინააღმდეგის სიძლიერით, ჯარების მართვის უზრუნველყოფის საშუალებებითა და სხვა პირობებით. XX საუკუნიდან დაწყებული არმია შედგებოდა 3-6 და მეტი კორპუსისაგან, კორპუსი კი 2-4 დივიზიისაგან.

ავტომობილების, ავტომატური იარაღის, ავიაციის, ტანკების გამოჩენამდე არმიის საფუძველს შეადგენდა ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ჯარი და არტილერია. ძირითადი დამრტყმელი ძალა ხიშტი იყო. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის სხვადასხვა სახელმწიფოთა არმიებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ძრავამ და საბრძოლო მანქანებმა, გაჩნდა სატანკო, საჰაერო-სადესანტო და საჰაერო არმიები. უფრო მრავალფეროვანი გახდა არმიის საბრძოლო შემადგენლობაც.

**ასეული** – ძირითადი ტაქტიკური და ადმინისტრაციული ქვედანაყოფი მოტომსროლელთა (ქვეითი) ჯარებში, აგრეთვე სატანკო, საჰაერო-სადესანტო, საინჟინრო, საავტომობილო და სხვა სპეციალურ ჯარებში. ასეული, ჩვეულებრივ, შედგება რამდენიმე ოცეულისაგან და შედის ბატალიონის შემადგენლობაში.

**ბატალიონი** – (ფრანგ. Bataillon – ბრძოლა) პოლკის, ბრიგადის უმაღლესი ტაქტიკური ქვედანაყოფი. თუ ბატალიონი უშუალოდ შენაერთის შემადგენლობაში შედის, მაშინ ის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულია და ცალკე ბატალიონი ეწოდება. თანამედროვე მოტომსროლელი და სატანკო ბატალიონი შედგება 3-4 ასეულისა და სხვადასხვა ოცეულებისაგან. ბატალიონების რიცხობრივი შემადგენლობა სხვადასხვაა. აშშ-ის არმიის მოტოქვეით ბატალიონში, მაგალითად, 900 კაცი ირიცხება, ინგლისისაში კი – 800-მდე.

**ბატარეა** – (ფრანგ. Batterie – დარტყმა) ძირითადი საცეცხლე საარტილერიო ქვედანაყოფი. არსებობს ცალკე ბატარეა (პოლკის, სანაპირო არტილერიის) და საარტილერიო დივიზიონის შემადგენლობაში შემავალი ბატარეა. თავიდან აღნიშნავდა სხვადასხვა რაოდენობის ქვემეხების ტაქტიკურ გაერთიანებას. თანამედროვე არმიების ბატარეაში შედის 2-3 საცეცხლე ოცეული, მართვის ოცეული და 2-6 ქვემეხი ან 4-6 დანადგარი.




1. AKM – კალაშნიკოვის ავტომატი – განკუთვნილია 800 მ-მდე მანძილზე ცეცხლის საწარმოებლად, თუმცა, ყველაზე ქმედითი ცეცხლი 400 მეტრამდეა. საბრძოლო სწრაფსროლა ჯერებით სროლისას – 90-100, ერთეული სროლისას – 40-მდე გასროლა წუთში.

2. РП2-7 – ხელის ტანკსაწინააღმდეგო გრანატმტყორცნი. პირდაპირი სროლის სიშორე – 100 მ-მდე.

3. ტანკსაწინააღმდეგო გრანატა

4. კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევი. სროლის ტემპი – 650 გასროლა წუთში.

# პოლონელ ხარცერებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პოლონელთა თანამეგობრობის "პოლონიას" წყალობით ჩვენ, მის წევრებს, საშუალება მოგვეცა ორი კვირა გაგვეტარებინა პოლონეთში, იქაური ხარცერების ბანაკში. პოლონელ ხარცერთა კავშირი მასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც ბავშვებსა და ახალგაზრდებს აერთიანებს, მას თავისი წესდება, კანონები და სიმბოლოები აქვს. პოლონეთში ბელორუსიის გავლით ჩავედით, ისე რომ ჯერ მინსკში ჩავფრინდით, სადაც პოლონელები დაგვხვდნენ. იქ დიდებულ ავტობუსში ჩაგვსხეს, შიგ ტელევიზორიც იყო, ვიდეოც. გზად ბიდგოშჩში, რომლის სიახლოვესაც მდებარეობდა ჩვენი ბანაკი, არცერთ ქალაქში არ შეგვივლია, გარდა ბრესტისა და ვარშავისა. იქაურობა სულ არ ჰგავდა ჩვენს ბუნებას, ირგვლივ სულ ტყიანი დაბლობები ან სახნავ-სათესები იყო. საზღვრამდე ხუთი საათი ვიმგზავრეთ, კიდევ ორი საათი საზღვარზე ვიდექით, ჩვენს რიგს ველოდებოდით. მაგრამ ორი საათი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ მსუბუქი მანქანების პატრონებმა გადაიტანეს, რომლებიც გრძელ ჯაჭვად გაბმულ რიგში იცდიდნენ. როგორც იქნა ყველა საბუთი შეამოწმეს, შლაგბაუმიც ასწიეს და ჩვენ პოლონეთში აღმოვჩნდით. ბინდდებოდა, როცა ვარშავაში ჩავედით... ღამის ქალაქი საოცრად ლამაზი იყო. გზის ბოლო მონაკვეთი ვარშავიდან ბანაკამდე სიბნელეში გავიარეთ. ბანაკში ღამის სამ საათზე ჩავედით, ჩვენ-ჩვენი კარვები მიგვიჩინეს და ყველანი დასაძინებლად დავწექით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დაღლილები ვიყავით, უამრავი შთაბეჭდილებით აღგზნებულებს არ დაგვეძინა. 4 საათზე ავდექით და სასეირნოდ წავედით. ალიონს ტყეში შევხვდით, საოცარი სანახავი იყო ამ დროს ტყე. შერეულ ტყეში მრავლად იყვნენ ციყვები. ისე გავერთეთ, რომ საუზმემდე ვისეირნეთ.

ჩვენი ბანაკი სამი ბანაკისაგან შედგებოდა (ორი პოლონური იყო, ერთი კი — ჩვენი), ისინი ერთმანეთისაგან ტყის პატარა მონაკვეთით, ფრენბურთის მოედნით და სხვადასხვა პატარ-პატარა ნაგებობებით იყო გამიჯნული. საქართველოს ბანაკში კარვების წრე იდგა, ცენტრში კი დროშა იყო აღმართული, რომელსაც ღამით მორიგეობით იცავდა თითო კარავი.

ჩვენ ოთხნი ვიყავით კარავში და მეზობელი კარვის ბინადარ ორ პოლონელთან ერთად უნდა გვემორიგევა ხოლმე. ღამე სამ ვახტად იყო დაყოფილი. პირველ ვახტზე პოლონელების მორიგეობა იყო, მეორესა და მესამეზე კი — ჩვენი, მაგრამ ჩვენ ვიზარმაცეთ და გადავწყვიტეთ, არ გვემორიგევა და მთელი ღამე ალხეინად ვიძინეთ. ცხადია, უფროსებმა შეიტყვეს და დაგვსაჯეს, ახლა მომდევნო ღამის ნაწილიც — 12-დან 2 საათამდე ვახტზე უნდა ვმდგარიყავით. გამოვედით სამნი — მე, ჩემი დეიდაშვილი ირაკლი და კიდევ ერთი ბიჭი, დიმა, მეოთხე სულ ცხრა წლის იყო და შეგვეცოდა, არ გავაღვიძეთ, და პოლონეთის დროშიან ანძასთან ჩამოვსხედით. ღამე ძალიან ციოდა, დიმას შესცივდა და კარავში დაბრუნდა, მალე მას ირაკლიც მიჰყვა, მე კი დავრჩი, მაგრამ თითქმის მაშინვე დამეძინა და ორი საათის მერელა გამეღვიძა, როცა ჩვენი მორიგეობა დასასრულს უახლოვდებოდა. არც მიფიქრია იმ ბიჭების გაღვიძება, რომლებსაც ჩვენ შემდეგ უნდა ემორიგევათ და გათოშილი ჩავწექი ლოგინში. მომდევნო მორიგეობაზე გასვლა არც გვიფიქრია და მშვიდად გამოვიძინეთ, მეორე დღეს კი კომენდანტი მოგვადგა და გამოგვიცხადა, რომ იმ ღამეს ჩვენი ბანაკის სიახლოვეს ჭიშკარი ჩამოეხსნათ ანჯამიდან და წაეღოთ. გამოდის, რომ თქვენ არც წუხელ ყოფილხართ მორიგეობაზეო, მკაცრად გვითხრა მან. უნდა როგორმე დაგვეძვრინა თავი და არც ტყუილს მოვერიდეთ, შევესიტყვეთ კომენდანტს, ვიკამათეთ, ვუმტკიცებდით, რომ მორიგეობის დროს ჩვენი კარვის წინ ვისხედით და ცხადია, ვერ დავინახავდით, რა ხდებოდა ჭიშკართან. არა მგონია, რომ დაგვიჯერა, აბა როგორ შეიძლებოდა, რაიმე ხმაური მაინც არ გაგვეგონა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თავი დაგვანება.

ბანაკის განაწესით დღეში მხოლოდ 3-4 საათი თავისუფალი დრო გვრჩებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, მაინცდამაინც მკაცრად მას არავინ იცავდა. ზუსტად განსაზღვრულ დროზე მხოლოდ ვდგებოდით და ვჭამდით, ვარჯიში და მკვდარი საათი კი საერთოდ არავის ახსოვდა, დაძინებითაც დადგენილ 10 საათზე არასდროს დაგვეძინია. ისე, რომ საკმაოდ ბევრი თავისუფალი დრო გვქონდა.

ბანაკის ახლოს ტბა იყო. ჯერ კიდევ გზაში ვკითხეთ პოლონელ მასპინძლებს, რაიმე წყალი თუა ჩვენი ბანაკის სიახლოვეს და როცა გვითხრეს, ტბა არისო, ძალიან გავიხარეთ. თითქმის ყოველდღე დავყავდით ტბაზე. ზოგს თან წყალქვეშა ცურვისათვის სათვალე და ნიღაბიც გვქონდა, ისე რომ მარტო ცურვით კი არ ვიჯერეთ გული, არამედ ყვინთვითაც.

ყველაფერი კარგი იყო, ყველაფერი, მაგრამ კოღოებმა შეგვალონეს. თავით ფეხებამდე დაკბენილები ვიყავით. სანუგეშოდ ისღა გვრჩებოდა, რომ სხვა საშინელ პარაზიტს, ტკიპას არც ერთი ჩვენგანი არ დაუკბენია. სხვადასხვა დაავადებათა გადამტანი ამ მწერის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ თბილისში გაგვაფრთხილეს და გვირჩიეს ცოტა მცენარეული ზეთი, პინცეტი და ქსოვილის ნაჭერი წაგვეღო. იმ შემთხვევაში თუ ტკიპა გვიკბენდა, მაშინვე ზეთიანი ნაჭერი უნდა მიგვედო, ათიოდ წუთის შემდეგ ტკიპა გაიგუდებოდა და პინცეტით უნდა მოგვეცილებინა იგი. საბედნიეროდ, ამ მანიპულაციების შესრულება არცერთ ჩვენგანს არ დასჭირვებია.

რამდენჯერმე წაგვიყვანეს ექსკურსიაზე მახლობელ ქალაქებში — გნეზნოში, კნინში და ლაბიშინში. ერთი-ორი საათით მარტოებს გვიშვებდნენ ქალაქში სასეირნოდ. ძირითადად ძველ უბნებს ვათვალიერებდით, ვიწრო, ქვაფენილიანი ქუჩებით, სამ-ოთხსართულიანი სახლებით. ამ ქალაქების არქიტექტურა სულ არ ჰგავს ჩვენსას.

ერთხელ პატარა ქალაქ შუბინში წაგვიყვანეს, სადაც ერთ მოხუცს ვეწვიეთ. ოთხმოც წელზე მეტის იქნებოდა, მაგრამ ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. მისი ორსართულიანი სახლი მუზეუმად არის ქცეული. იქ თავმოყრილია მეორე მსოფლიო ომის ამსახველი მასალები.

საბრძოლო დოკუმენტები, სამხედრო ფორმა, დროშები, საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული ადამიანის ზოლიანი ტანსაცმელი. ჩვენი მასპინძელი ომის წლებში იატაკქვეშა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა და სწორედ ამ სახლში იკრიბებოდნენ ხოლმე ფაშიზმთან მებრძოლი იატაკქვეშელები...

ერთხელ ვარშავაშიც წაგვიყვანეს. ვნახეთ ძველი ქალაქიც, მთავარ ქუჩაზეც გავიარეთ. მერე ლაზენკიც მოვინახულეთ — დიდი ვარშავული პარკი. ვნახეთ შოპენის ძეგლი, ის ადგილი, სადაც პირდაპირ ღია ცის ქვეშ იმართება კონცერტები.

მთელი ეს ხანი პოლონელებს პოლონურად ველაპარაკებოდით და ძალიან გვიხაროდა, რომ თურმე არც თუ ისე ცუდად შეგვისწავლია ეს ენა ერთ წელიწადში ჩვენს "პოლონიაში".

ორმა კვირამ მალე გაიარა, დავემშვიდობეთ პოლონურ მიწას, მეგობრებს, ბანაკს და თბილისისაკენ გამოვეშურეთ. სიამოვნებით ვიხსენებთ პოლონეთში გატარებულ დღეებს და იმედი გვაქვს, რომ კიდევ მოგვიწევს ამ ქვეყანაში ჩასვლა, იქაურ თანატოლებთან შეხვედრა.

გიორგი ელიავა,
თბილისის 55-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

# ცხვირიც არის და ცხვირიც

20970

მოდით, ვნახოთ, რისთვის სჭირდება ცხვირი ცხოველს, ფრინველს, მწერს. უწინარეს ყოვლისა, ცხვირი სუნის შეგრძნებაში ეხმარება მათ, ხოლო სუნების სამყაროს ფაუნის წარმომადგენლები-



სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქარებსა და დინებებს მათთვის ან კარგი ამბავი მოაქვს, ან ცუდი, ხოლო სხვა ცხოველთა სურნელოვანი ნივთიერებებით ნიშანდებული ქვები თუ ბუჩქები აუწყებენ მათ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" ან "საზღვარს ნუ დაარღვევთ!"

ცოცხალ არსებათა დიდი ნაწილისთვის ცხვირი უწინარეს ყოვლისა ყნოსვის ორგანოა. სხვადასხვა ცხოველებს სხვადასხვანაირი ცხვირი აქვთ. ზოგისა რომ აშკარად გამოკვეთილი და მოზრდილია, სხვებისა ძნელი შესამჩნევია და ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ, უადგილო ადგილას მდებარეობს. მაგალითად, "რვაფეხებს" ცხვირი საცეცებზე, ხოლო ზღვის ვარსკვლავებს სხივების ბოლოებზე აქვთ. ახლა ისიც ვნახოთ, თუ რომელ არსებას აქვს ყველაზე მგრძნობიარე "ცხვირი" თქვენ წარმოიდგინეთ, რომ... მამრ ჩრჩილს! ცდებით დამტკიცდა, რომ მამრი ჩრჩილები მოძრავი მატარებლიდან გზის სხვადასხვა წერტილებში რომ გაეუშვათ, ისინი 11 კილომეტრამდე მანძილზე შეიგრძნობენ მდედრების მიერ გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებების —



ფერომონების სუნს!

ზვიგენებს შეუძლიათ მაშინაც კი იყნოსონ წყალში განზავებული სისხლის სუნი, როცა მისი კონცენტრაცია 1:100 მლნ. ნაწილია.

ახლა ორაგული გავიხსენოთ. ცხვირს იგი იმ მდინარეში მიჰყავს, სადაც დაიბადა და საიდანაც ღია ზღვაში გავიდა. ყოველ გაზაფხულზე მილიონობით ორაგული ბრუნდება წყნარი ოკეანიდან თავის



მშობლიურ წყლებში ქვირითის დასაყრელად. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ორაგულის ლიფსიტებში ჩასახვის მომენტიდანვე არის აღბეჭდილი მშობლიური მდინარის სურნელი. მეცნიერებმა სულ მარტივი ცდა ჩაატარეს: ამ თევზებს ნესტოები დააცალეს, რის შემდეგაც ორაგულებს სამშობლოში დაბრუნების უნარი წაერთვათ.

სუნს დიდი მნიშვნელობა აქვს ბევრი ცხოველის ცხოვრებაში. იცით, როგორ აღებენ ნიშანს საკუთარ ტერიტორიას თახვები? როგორ და წყალსაცავის ფსკერიდან თათებით ტალახს იღებენ და ნაპირზე კაშხალთან, ქოხთან ანდა კვების ადგილზე ახვავებენ. მერე ამ გროვებს თავი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთი ჯირკვლების სეკრეტის მეშვეობით ნიშანს ადებენ, ეს ნიშანი კი აფრთხილებს მომხედურთ: "შესვლა აკრძალულია! ტერიტორია დაკავებულია!" თუ რომელიმე თახვი შემთხვევით ამ არემარეზე შემობორიალდება, უთუოდ წაიკითხავს ამ განცხადებას. ერთმა ამერიკელმა ეთოლოგმა თავისი ხელით გააკეთა ამგვარი ტალახის გროვები, მერე ზედ სხვა კოლონიის ბინადარი თახვის ჯირკვლის გამონაჟონი სეკრეტი მიასხურა. უცხო სუნმა ძალიან ააფორიაქა ცხოველები. მათ მოშალეს ეს ტალახის ბორცვები, ახალი ტალახი მოზიდეს და საკუთარი სუნით დადაღეს.

სპეციალური სეკრეტის გამომყოფი ჯირკვლები ბევრ ცხოველს გააჩნია. მელიებს ასეთი ჯირკვლები კუდქვეშ აქვთ, წყლის მემინდვრიებს — გვერდებზე, ღორებს — მუხლებზე. ჩრდილოელი ირმები კი მიგრაციის დროს თითებს შორის მდებარე ჯირკვლების სუნით ნიშნავენ გზას.

თითქმის ყველა ცხოველს ცხვირი საკვების მოპოვებაშიც ეხმარება. კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიოლოგებმა სხვადასხვა ზღვის ფრინველის ყნოსვის ძალა შეისწავლეს. იმ ფრთოსნებზე დაკვირვებამ, რომლებსაც ნისკარტის ზემოთ მილაკოვანი ცხვირიც აქვთ, აჩვენა, რომ მათ საკმაოდ ძლიერი ყნოსვა ჰქონიათ. როცა წყალში გრძელ ჯაჭვზე დამაგრებული წვრილად დაკეპილი თევზის სუნით გაჟღენთილი ტამპონი ჩაუშვეს, ქარიშხალებმა სამი კილომეტრის მანძილზე იგრძნეს საკვების სუნი. ალბატროსები კი 30 კმ. სიშორიდან მოფრინდნენ სუნზე.

ასეთი დიდებული ცხვირები მარტო ზღვის ფრინველებს როდი აქვთ. მაგალითად, საუცხოო ყნოსვა აქვს შოშიას, რომელიც სხვადასხვა მცენარეების გარჩევაში ეხმარება მას. იკითხავთ, ვითომ ისეთი რა მნიშვნელობა აქვს შოშიისთვის მცენარეების გარჩევას? საქმე ის არის, ითად, სპილო ხორთუმს ბალაყინადაც ხმარობს, წყალში ცურვის დროს — სასუნთქმილადაც, წყლის სმის დროს კი — შლანგადაც. ხორთუმის საშუალებით გამოსცემს იგი საყვირის ხმას. უდაბნოთა ბინადარი ორიქსი ანუ ხარარჩვი ნაწილობრივ ცხვირის წყალობითაც უძლებს დიდ სიცხეს. სისხლი, რომელიც ცხოველის ცხვირის ნოტიო ღრუში ცირკულირებს, ნესტის აორთქლების ხარჯზე ცივდება. ამგვარი სისხლი



რომ შოშიები თავიანთ ბუდებში ფარსმანდუკის, გარეული სტაფილოს, ბაქტერიების და მწერების მიმართ ტოქსიკურ სხვა მცენარეთა ღეროებს აწნავენ. ეს 80 პროცენტით ამცირებს პარაზიტების რაოდენობას ბუდეში.

მაგრამ ცხოველებისთვის ცხვირი მხოლოდ ყნოსვის აპარატი არ გახლავთ. მაგალ-

ტვინის ფუძემდე რომ მიდის, ხელს უწყობს სხეულის ტემპერატურაზე რამდენიმე გრადუსით დაბალი ტემპერატურის შენარჩუნებას ამ არეში.

უდაბნოს მეორე ბინადარის, აქლემის ცხვირის შიდა არხები ამოსუნთქვის დროს წყლის ორთქლს შთანთქავენ და ამრიგად, ინარჩუნებენ მის ტენიანობას.



ტენის შენარჩუნების უნარის მქონე ცხვირები გააჩნიათ კენგურუსმაგვარ ვირთხებსაც. ახლა ბეჰემოთებს რა დიდებული ცხვირები აქვთ! წყალში რომ ყვინთავენ, ეს სქელკანიანები ჰერმეტულად "იგმანავენ" ნესტოებს. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ცხვირს თხუნელებისთვის. სწორედ მგრძნობიარე ცხვირის წყალობით იკვლევენ ისინი გზას მიწისქვეშეთში, როცა საკვებს ეძებენ. მეტად ორიგინალური ცხვირი აქვს ვარკვლავდინგიან თხუნელას – 22 საცეცით აღჭურვილი ვარდისფერი ხორთუმი. კიდევ უფრო საოცარი ცხვირი აქვს მწერიჭამია ღამურების ზოგიერთ სახეობას. ეს ფოთლის მოყვანილობის ხორცმეტი ბგერითი იმპულსების ფოკუსირებაში ეხმარება ღამურას, რომელთა წყალობით იგი ადვილად არიდებს თავს წინააღმდეგობებს და ნადავლისკენ იკვლევს გზას. მსხვერპლთან მიახლოებისას, ცხვირის მეშვეობით იგი წამში 200 მაღალი სიხშირის ბგერით იმპულსს გამოსცემს. ცხვირით გამოსცემენ ბგერებს დელფინებიც. სწორედ დელფინების ცხვირით "ხედვის" უნარს იყენებენ, როცა ამ უსიმპათიურეს არსებებს წყალქვეშა ჭურვების აღმოსაჩენად წვრთნიან.

ზოგ ქვეყანაში გაზსადენის მილებიდან გაჟონვის აღმოსაჩენად სვავებს იყენებენ. თუ შეამჩნიეს, რომ გაზსადენის თავზე სვავები ტრიალებენ, კომუნალური მეურნეობის მუშაკები საგულდაგულოდ ამოწმებენ ამ მონაკვეთს.

ფილადელფიის ქიმიური მგრძნობელობის ცენტრის მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ბევრ ფრინველს არ უყვარს ყურძნის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ნივთიერების გემო და სუნი და ეს აღმოჩენა ბეისბოლისტთა დასახმარებლად გამოიყენეს – ეს ნივთიერება სათამაშო მოედნებს მოასხეს და დააფრთხეს აბეზარი ფრინველები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ბეისბოლისტებს.

სპეციალისტებმა კიდევ ერთი საინტერესო ცდა ჩაატარეს. გაზაფხულზე გარეული იხვების ჯგუფს ნესტოები



დაუცეს, რის შემდეგაც მამალმა იხვებმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს დედლებისადმი. ამ ცდამ დაადასტურა, რომ დედალი იხვები გამოყოფენ რაღაც ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც მამლებს იზიდავს.

# იზარდე, მწვანე ჯეჯილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ციცქნა ჩანახატის ავტორი ნუკა ბილანიშვილი სულ რვა წლისაა და ახლაღა იწყებს სამყაროს აღმოჩენას. მერე რა, რომ გოგონა უმალ პეპლებისა და ყვავილების სიტურფეს აღიქვამს, ვიდრე სვეტიცხოვლის სიდიადეს, სამაგიეროდ, ნახეთ, რა თავისებური, საინტერესოა ეს აღქმა!

## ექსკურსიაზე

ჩვენი კლასი ექსკურსიაზე იყო მცხეთასა და შიომღვიმეში. პირველად მცხეთა დავათვალიერეთ. სიო ნაზად აშრიალებდა მწვანე ბალახსა და ფოთლებს, ფერად-ფერადი პეპლები ერთმანეთში ირეოდნენ, ცა ლურჯად კამკამებდა. მინდორველს ყაყაჩო და სხვა ყვავილები ამშვენებდა.მზე თვალს გვიკრავდა, ჩიტები საამურად გალობდნენ. ძალიან ლამაზი იყო მცხეთა. ყველაზე მეტად სვეტიცხოველი მომეწონა. შიგნით რომ შევედით, ცოტა შემეშინდა.

მერე შიომღვიმეში წავედით. იქაურობა ჭრელი ფოთლებით იყო მოფენილი. მე ვიფიქრე, ნუთუ ამ ფოთლებს, ამ მღვიმეებს ამ მარტოობის არ ეშინიათ-მეთქი? ალბათ, არა, რადგანაც სულ მარტო არიან და შეჩვეულები იქნებიან მარტო ყოფნას. დავათვალიერეთ ეკლესიის ეზოგარემო, შევედით ეკლესიაში. უფროსებმა ამ ეკლესიის ამბავი გვიამბეს.



## პაპიდა!

ძალიან მენატრები! ხომ კარგად ხარ? ალბათ, მე ვერ ჩამოვალ. რა არის მანდ ახალი? შენი წერილი წავიკითხე. მე სწავლა კარგად დავამთავრე. კარგი ნიშნების ფურცელი მივიღე. ყველა საგანში ერთები და ორები მაქვს (გარდა მათემატიკისა). ასევე დავიმსახურე უზარმაზარი წიგნი გერმანიაზე. იგი "რომანტიკულ გერმანიაზეა". გავსებულია სურათებით. მოკლედ ულამაზესი რამეა. კიდევ მასწავლებელმა მითხრა, რომ მე პირველი მოსწავლე ვარ, ვინც ასეთ დიდ წიგნს იმსახურებს, და რომ მე ასევე პირველი ვარ, ვინც ორ-სამ წელში ასე კარგად ისწავლა გერმანული. (აბსოლუტური სისულელეა! მდედრობითი და მამრობითი მეშლება და არ ვიცი, როგორ ატყობენ, რომ მე გერმანული კარგად ვიცი) შენ გამოგზავნილ წიგნს "შერლოკ ჰოლმსს" ვკითხულობ...

აი, ასეთ წერილებს უგზავნის თეირანიდან თავის პაპიდას 9 წლის ლუკა ნაზუცრიშვილი, რომელიც ორი წელია მშობლებთან ერთად ირანის დედაქალაქში ცხოვრობს და გერმანიის საელჩოსთან არსებულ სკოლაში აგრძელებს სწავლას. ხოლო იმისათვის, რომ პაპიდამ, გულითად მეგობრად რომ ეგულება ლუკა ბიჭს, უკეთესად წარმოიდგინოს, როგორ ცხოვრობს და სწავლობს, წერილებს ხშირად საკუთარი ნახატებით თუ ფოტოებით უსურათხატებს ხოლმე. ქალბატონ ქეთევანს კი ყოველი ასეთი წერილი დიდი სიხარულით ავსებს.





ეს ლუკა ნახუცრიშვილის ნახატებია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე საოცარი და ვერაგი კუნძული

## აგრეთვე ამბავი კატორღელი რობინზონების, ასობით დაღუპული გემის, კაპიტან ჰიგინსის, თევზის ქონისა და ექვსი ჩანთქმული შუქურისა

სეიბლი უთუოდ ყველაზე საოცარი და ყველაზე ვერაგი კუნძულია დედამიწის ზურგზე. მისი ვერაგობა იმით იწყება, რომ სხვადასხვა ქვეყნების გეოგრაფები საუკუნეა კამათობენ, ვინ აღმოაჩინა ზღვაოსანთა მრავალი თაობის მიერ დაწყევლილი ეს კუნძული. ერთნი მიიჩნევენ, რომ სეიბლს პირველები ვიკინგები გადააწყდნენ, ჯერ კიდევ კოლუმბამდე რომ მიცურავდნენ ჩრდილო ამერიკისკენ. სხვების აზრით, პირველაღმომჩენები ნორმანდიელი და ბრეტონელი მეთევზეები არიან, რომლებმაც XVI საუკუნეში ნიუფაუნდლენდის მეჩეჩებთან დაიწყეს რეწვა. შეიძლება კუნძული სულაც ინგლისელმა ვეშაპზე მონადირეებმა აღმოაჩინეს, რომლებიც ახალი შოტლანდიის ნაპირებთან ნადირობდნენ. არანაკლებ სარწმუნოა კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმადაც სეიბლი ფრანგმა ზღვაოსანმა ლერიმ აღმოაჩინა, რომელიც 1508 წელს ევროპიდან ნახევარკუნძულ "ბრეტონთა მიწაზე" (ახალი შოტლანდია) ჩავიდა.

სეიბლის ვერაგობა იმაშიც გამოიხატება, რომ ყველა რუკაზე, ჩვენ საუკუნეში შედგენილზეც კი, მისი კოორდინატები, ფორმა და ფართობი სულ სხვადასხვაა. კუნძული დახეტიალობს, ყოველწლიურად იცვლის მოხაზულობას და ფართობს. XVI საუკუნის ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ რუკებზე კუნძულის სიგრძე 150-200 მილია, 1633 წელს კი ჰოლანდიელი ზღვაოსანი იოჰან ლაეტი იუწყება: "...კუნძულის შემოწერილობა დაახლოებით ორმოცი მილია, ზღვა აქ ბობოქარი და წყალმარჩხია, ნავსადგურები არ არის. აქ გამუდმებით იღუპება ხომალდები და ეს ადგილი ცუდი სახელით სარგებლობს".

ლამის ხუთასი წელია სეიბლი შიშის ზარს ჰგვრის ზღვაოსნებს. ისტორიაში იგი "ხომალდების შთანმთქმელის" სახელით შევიდა. მეზღვაურები მას "ათასი დაღუპული ხომალდის კუნძულს", "სიკვდილის კუნძულს", "სიკვდილის ცელს" ეძახიან.

დღეს მისი სიგრძე 23 ნალია, სიგანე კი – ერთი. იგი მდებარეობს მატერიკის სიახლოვეს იმ რაიონში, სადაც გოლფსტრიმი ლაბრადორის ცივ დინებას ეჯახება. სწორედ ამ ვითარებამ გამოიწვია უზარმაზარი ქვიშის მეჩეჩის შექმნა, რომლის ნაწილი ოკეანის ზედაპირზეა ამოშვერილი. ოკეანის დინებები და შტორმები დიდი ხანია რეცხავენ მის დასავლეთ ისარას, რომელიც თანდათან იმალება წყალში. იმავდროულად ქარებისა და ტალღების მოქმედების შედეგად ქვიშა აღმოსავლეთ ისარაზე ხვავდება. ისე რომ, სეიბლი განუწყვეტლივ მიღოღავს აღმოსავლეთისაკენ და თანდათან შორდება ახალი შოტლანდიის ნაპირებს. ბოლო ორასი წლის განმავლობაში მან ოკეანეში თითქმის ათი საზღვაო მილი "გაიარა".

ჟურნალში დაბეჭდილი რუკა ამერიკელმა დავით ჯონსონმა შეადგინა, რომელიც 1920-1937 წლებში კუნძულზე შუქურის ზედამხედველი იყო. შემორჩენილი დოკუმენტების საფუძველზე ჯონსონმა რუკაზე აღნიშნა ხომალდების დაღუპვის ადგილები. ყველა ეს ხომალდი სეიბლის სიახლოვეს დაიღუპა და გამოდის, რომ 1800 წლიდან მოყოლებული აქ ასობით ხომალდი დაღუპულა. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუკაზე მხოლოდ ბოლო 137 წლის მანძილზე დაღუპული ხომალდებია აღნიშნული, სეიბლის სიახლოვეს კი XVI საუკუნის დამდეგიდან დაცურავდნენ გემები. არავინ იცის, რამდენი უცნობი ხომალდი, ვიკინგთა რამდენი ნავი, პორტუგალიელთა რამდენი გალეონი, ბრეტონელ მეთევზეთა რამდენი გულეტი, ნანტაკეტელ ვეშაპმონადირეთა რამდენი გემი, რამდენი კანადური ბარკენტინი, ამერიკული კლიპერი ძევს მის მეჩეჩებზე...

სეიბლი დღესაც ჩრდილო ატლანტიკის ხაფანგად რჩება, რადგანაც გაცხოველებული ნაოსნობის რაიონში მდებარეობს. ცივი ლაბრადორის დინებისა და გოლფსტრიმის შეხვედრა წარმოადგენს ხშირი და ხანგრძლივი ნისლების მიზეზს. ბობოქარი შტორმები აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. სექტემბერ-ოქტომბერში აქ თითქმის გამუდმებით ქრის შვიდი ბალის სიძლიერის ქარები. ნორდ-ვესტის საშუალო ძალა ნოემბერ-მარტში ხუთი-ექვსი ბალია ხოლმე. ზამთრის შტორმებს, როგორც წესი, თან ახლავს წვიმები და თოვლი. რაკიღა კუნძულს არაფერი ეფარება, არაფერი იცავს, ოკეანის ქარები აქ ლაღად დაქრიან, ხოლო ნაპირებთან მთელი წლის განმავლობაში მოქცევის თეთრი ქაფი დუღს. კუნძულს იმ სამი კვირის მანძილზე თუ მიადგება ვინმე კარჭაპით, როცა ქარი არ ქრის, ჩვეულებრივ, შტორმს თვალისმომჭრელი მზის ამოსვლა უძღვის ხოლმე წინ, რაც თითქოს მთელი დღე მშვენიერ დარზე უნდა მეტყველებდეს. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად საიდანღაც წამოიმლება ლეგა ღრუბლები, გადაკ-



ფარება მზეს და ცასაც მოქუფრავს. მერე ქარიც მოვარდება, ოკეანესააქაფებს, აალელვებს, დიუნების მწვერვალებიდან ტონობით ქვიშას აიტაცებს და საშინელ ბუღს დააყენებს. წყეული "გემების შთამნთქმელი" ერთნაირად ულმობლად ყლაპავს დიდ თანამედროვე გემებსაც და იალქნიან ნავებსაც. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სეიბლი ერთ თვეში მთლიანად ნთქავს თავის მსხვერპლს, ამასთან, ეს მსხვერპლი ხშირად 70-100 მ. სიგრძისა და 2-3 ათასი ტონა წყალრწყვისაა ხოლმე. ასე გაუჩინარდა ქვიშაში ოთხანძიანი ამერიკული ორჩხომელი "კროფთონ ჰოლი", რომელიც 1898 წელს ჩაიფლო სეიბლის ქვიშაში. იმხანად შუქურის ზედამხედველი ბუტილიესთან და მაშველ სმოლკომბთან ერთად კუნძულზე ინგლისელი მეცნიერი, ტელეფონის გამომგონებელი ალექსანდრე გრეჰემ ბელიც ცხოვრობდა. ეს ადამიანი ფრანგული ლაინერის "ბურგონის" დრამამ შეძრა. იმავე 1898 წლის 4 ივლისს სეიბლის სამხრეთით, 80 მილის მოშორებით ხშირ ნისლში ინგლისის იალქნიანი გემი "კრომანტიშირი" შეეჯახა სამგზავრო გემ "ბურგონს", რომელიც ათ წუთში ჩაიძირა და 597 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ბელმა იფიქრა, რომ შეიძლებოდა "ბურგონზე" მყოფთაგან ვინმე გადარჩენილიყო, სეიბლამდე მიეღწია და ახლა დახმარებას ელოდა. მან თავისი ხარჯით მოაწყო საძიებო ექსპედიცია, მაგრამ კუნძულზე ვერავინ აღმოაჩინა. მეცნიერი რამდენიმე კვირით დარჩა იქ. აი, რას წერდა იგი ამერიკული ხომალდის დაღუპვის შესახებ: "იგი ამა წლის აპრილში დაჯდა მეჩეჩზე. საუცხოო გემი უვნებელი გეგონებათ, თუ არ ჩავთვლით მის შუაზე გაბზარულ კორპუსს. დღეს ქვიშამ მთლიანად ჩანთქა მსხვერპლი". ასე დაემართა ყველა დიდ-პატარა გემს, რომელიც კი სეიბლის "მკლავებში" აღმოჩნდა.

დრო და დრო ქარები ფორმას უცვლიდნენ დიუნებს და მაშინ ადამიანს თვალწინ ქვიშაში ჩამარხული გემების ნაშთები წარმოუდგება. ასეთ დროს აქ ადამიანთა ძვლებს, თავის ქალებს, ძველებურ იარაღსა და მონეტებსაც პოულობენ.

1963 წელს შუქურის ზედამხედველმა ქვიშაში ადამიანის ჩონჩხი, ჩექმის ბალთა, მუშკეტის ნარჩენი, რამდენიმე ტყვია და 1760 წელს მოჭრილი რამდენიმე ოქროს მონეტა იპოვა. ამბობენ, რომ რეგისტრირებულია გემების დაღუპვის 60 შემთხვევა, ადამიანთა მსხვერპლი კი 10 000-ს აღწევს (ეს მხოლოდ რეგისტრირებული შემთხვევებია).

სეიბლის ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლი პანამური სატვირთო გემი "მენჰასეტი" იყო. 1947 წლის 4 ივლისს ნისლში გემი კუნძულის სამხრეთ მეჩეჩს დაეჯახა.



ხომ ასეთი საშინელია ოკეანის სივრცეში ჩაკარგული ხმელეთის ეს პირქუში ნაგლეჯი, მაგრამ იგი ყოველთვის დასახლებული იყო ხოლმე. თუმცა ადამიანები საკუთარი ნება-სურვილით არ სახლდებოდნენ აქ.

კუნძულის პირველი ბინადრები დაღუპული გემების გადარჩენილი მგზავრები თუ მეზღვაურები იყვნენ. ისინი გემის ნარჩენებისგან აშენებულ ქოხებში აფარებდნენ თავს. თავისდა გასაკვირად, პირველმა რობინზონებმა კუნძულზე ძროხები აღმოაჩინეს. ცხოველები 1508 წელს ფრანგ ლერის დაუტოვებია აქ რატომღაც, ისინი გამრავლებულან და გაველურებულან. კუნძულის ბინადრები თევზით, ზღვის ფრინველებით და მწვავებითაც იკვებებოდნენ. წყლის საქმე კი უარესად იყო, აქ წყაროები არ არის, და წყალს ნაწვიმარზე გუბეებში თუ ილებდნენ ან ბალახიდან ცვარს აგროვებდნენ. სეიბლზე მოხვედრილთა ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ გემები სათოფეზე არ ეკარებოდნენ კუნძულს, მაშინაც კი, თუ მის თავზე სასიგნალო კოცონების კვამლს მოჰკრავდნენ თვალს.

ერთხელ კუნძულზე ერთდროულად 50 რობინზონი აღმოჩნდა. ეს ადამიანები კატორღელები იყვნენ და ისინი 1598 წელს გადმოსხეს აქ ფრანგული გემიდან მარკიზ დე ლა როშეს ბრძანებით, რომელსაც ახალ შოტლანდიაში გადაჰყავდა ისინი. ძლიერი და ხანგრძლივი ჩრდილო-აღმოსავლეთის შტორმის გამო გემს ნაპრალი გაუჩნდა და როშემ ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა. კუნძულის დანახვაზე მარკიზს ამ უბედურების სეიბლზე გადასხმა მოაფიქრდა. შეიძლება გემზე სურსათი გამოილია და ფრანგებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ასე იყო თუ ისე, კატორღელები კუნძულზე აღმოჩნდნენ. ისინი შვიდი წლის შემდეგღა გაახსენდათ. სინდისის ქენჯნამ აიძულა მეფე, შეეწყალებინა კატორღელები. მათ წამოსაყვანად ჩასულთ ცოცხალი 12 ადამიანიღა დახვდა. 1605 წელს ისინი საფრანგეთში ჩამოიყვანეს.

1800 წელს ინგლისის ხელისუფალთ ახალი შოტლანდიის ნახევარკუნძულის მკვიდრთა ხელში თუ სახლებში ოქროს მონეტები, ძვირფასი ნივთები, იორკის ჰერცოგის გერბიანი გეოგრაფიული რუკები, მისივე კუთვნილი წიგნები და ავეჯი დაუნახეს. სწორედ იმხანად დაიკარგა ახალი შოტლანდიიდან გასული გემი "ფრენსისი", რომელსაც ლონდონში იორკის ჰერცოგის პირადი ნივთები უნდა ჩაეტანა.

ინგლისის საადმირალომ დაასკვნა, რომ "ფრენსისის" დაღუპვის შემდეგ მის ბორტზე მყოფნი უკლებლივ გადარჩნენ, მშვიდობიანად მიაღწიეს სეიბლამდე, მაგრამ იქ ისინი კუნძულის მაცხოვრებლებმა დახოცეს. სეიბლზე დამსჯელი ექსპედიცია მიავლინეს. შედგა სასამართლო და გამოირკვა, რომ ხალხი დაღუპული გემიდან არავის მოუკლავს, უბრალოდ, კუნძულის მკვიდრთ ნავები არ ჰქონიათ მათ მისაშველებლად და გადასარჩენად. სწორედ ამან გადააწყვეტინა ინგლისელებს 1802 წელს სამაშველო სადგური და შუქურა აეშენებინათ სეიბლზე.

ეს პირველი სამაშველო სადგური მკვიდრად ნაგებ ფარდულს წარმოადგენდა და ნაპირებიდან 150 მეტრის მანძილზე იდგა. მასში ხის ლიანდაგებზე შემდგარი ვეშაპსანადირო ველბოტი სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. იქვე თავლაც იყო. ცხენები აქ 1738 წელს ინგლისური გემის დაღუპვის შემდეგ მოხვდნენ. მათ ცურვით მიაღწიეს ნაპირამდე და სულ მალე დიდი რაოდენობით გამრავლდნენ. უფრო სწორედ, ეს ცხენები კი არა, პონები იყვნენ, ოღონდ მოზრდილები.

პონებზე ამხედრებული ოთხი მაშველი ყოველდღე უვლიდა კუნძულს მოქცევის ზოლის გასწვრივ. ისინი ნისლში იალქნებს ეძებდნენ, ათვალიერებდნენ, ოკეანემ გემის ნამსხვრევები ხომ არ გამორიყაო. თუ კუნძულის სიახლოვეს გაჭირვებაში ჩავარდნილ გემს შენიშნავდნენ, უმალ სადგურისკენ მიქროდნენ და განგაშის ნიშანს იძლეოდნენ. მენიჩბეები ოთხ პონის შეაბამდნენ, რომლებიც ველბოტს წყლამდე მიათრევდნენ. ველბოტი მოქცევის პირველ სამ ტალღას გადალახავდა და შენიშნული გემისკენ მიეშურებოდა. ამასობაში შემთხვევის ადგილზე მისული დანარჩენი მაშველები შუქურის ზედამხედველის ჩათვლით, ბაგირებით გემთან კავშირს ამყარებდნენ. ასეთი საშუალებით ბევრი გემის მგზავრები და ეკიპაჟი გადაურჩენიათ, ხშირად — სრული შემადგენლობითაც კი.

ინგლისის ლოციებში, რომლებიც ახალი შოტლანდიის რაიონს აღწერენ, დღესაც არის ასეთი მნიშვნელოვანი შენიშვნა: "თუ გემი სეიბლის კუნძულის სიახლოვეს აღმოჩნდება მეჩეჩზე, მისი ეკიპაჟი მეჩეჩზე უნდა დარჩეს მანამ, ვიდრე მაშველი სადგური დახმარებას არ აღმოუჩენს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ გემის ნავებით თავის შველის ყველა ცდა ყოველთვის ადამიანთა მსხვერპლით მთავრდება".

მართლაც, სეიბლის ისტორიამ ერთადერთი შემთხვევა იცის ისეთი, როცა ადამიანები მაშველთა დაუხმარებლად გადარჩნენ.

ეს 1846 წელს მოხდა. ამერიკელ მეთევზეთა სანდალი "არნო" ქვიშათა კუნძულის სიახლოვეს იჭერდა პალტუსს. ღამე მოულოდნელად შტორმი ატყდა. განადგურდა გემის თითქმის ყველა იალქანი, თვითონ გემიც კინაღამ გადაბრუნდა. განთიადზე კაპიტანი ჰიგინსი მიხვდა, რომ დინებამ და ქარმა გემი სეიბლის მეჩეჩზე შეაგდეს. გადარჩენა ლუზების საშუალებით თუ შეიძლებოდა და კაპიტანმა ბრძანა 20 საჟენის სიღრმეზე ჩაეშვათ ისინი. შუადღისას ნორდვესტი ცხრა ბალის სიძლიერის შტორმში გადაიზარდა. აქაფებული ოკეანე ჩანთქმით დაემუქრა გემს. ჰიგინსმა მაშველთა მოხერხებულობისა და სიფხიზლის იმედად ყოფნა არ მოინდომა და მეტად თავისებური გადაწყვეტილება მიიღო.

იმისათვის, რომ გემზე პანიკა არ ატეხილიყო, ეკიპაჟი ტრიუმში ჩაკეტა, ორი გამოცდილი მეზღვაური წინაერდოზე დააყენა ყოველ ბორტთან და იმისათვის, რომ წყალს არ გადაეგდო ისინი, მოაჯირზე მიაბა. თვითონ კი შტურვალს ჩააფრინდა. სანდალი წარმოუდგენელი სისწრაფით მიექანებოდა ნაპირისაკენ. მიბმული მეზღვაურები კასრებიდან წყალში თევზის ქონს ასხამდნენ. ქარს იგი კუნძულისკენ მიჰქონდა და გემის წინ აღმოჩენილი თევზის ქონი არბილებდა ტალღების თავს, ამ ნაცად ხერხს მეზღვაურები დღესაც ხშირად მიმართავენ ტალღების გასარეკად. აქაფებულმა ტალღებმა სანდალი ქვიშის მეჩეჩს ზევიდან გადაატარეს და იგი უსაფრთხო ადგილზე, დიუნების ძირში აღმოჩნდა. ადამიანები გადარჩნენ, სანდალი "არნო" კი დაიღუპა, მეორე დღეს იგი შტორმმა დაამსხვრია, ხოლო მისი ნარჩენები ქვიშამ შთანთქა.

როდესაც შუა კუნძულზე აღმართული შუქურა საბოლოოდ დაძველდა, მის ნაცვლად ორი ახალი აღმართეს — კუნძულის დასავლეთ და აღმოსავლეთ კიდეებზე. აღმოსავლეთ შუქურამ კარგა ხანს გაძლო, დასავლეთი კი დღემოკლე აღმოჩნდა. ოკეანე დასავლეთიდან უტევს კუნძულს და როგორც უკვე ვთქვით, სეიბლი მომთაბარეობს. სეიბლის არსებობის მანძილზე ოკეანემ ექვსი შუქურა შთანთქა.

1947 წელს "მენჰასეტის" დაღუპვის შემდეგ კანადის ხელისუფალთ კუნძულზე რადიოშუქურა დადგეს, მოგვიანებით კი მის კიდეებზე კიდევ ორი შუქურა აღმართეს.

როგორც ადრე, მეტეოროლოგები დღესაც ცხენებზე ამხედრებულები ყოველდღე უვლიან კუნძულის ნაპირებს. ათვალიერებენ, მართვადაკარგული იახტა ხომ არ გამორიყა ოკეანემ ან მატერიკიდან ზღვის დინებათა შესასწავლად გადმოგდებული ბოთლი ხომ არ გდიაო. ფოსტა და სურსათი სეიბლის მკვიდრთათვის ჰიდროთვითმფრინავებს ჩამოაქვთ, რომლებიც ტბაზე სხდებიან.

დღესაც ფრთხილობენ მეზღვაურები, დღესაც დაძაბულები აჩერდებიან ნისლს, როცა რადიოშუქურის მრისხანე გაფრთხილება ჩაესმით: "თქვენ სეიბლის — ჩრდილო ატლანტიკის სასაფლაოს სიახლოვეს იმყოფებით".

# ვინ იყო შერლოკ ჰოლმსი?

დაახლოებით ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ინგლისურ ყოველთვიურ გამოცემაში პირველად დაიბეჭდა მოთხრობათა სერია სათაურით "მაძებარ შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლები". მოთხრობებმა უმალ მიიქცია საზოგადოების ყურადღება, მკითხველები დაინტერესდნენ გენიალური მაძებრის პიროვნებით, ეკითხებოდნენ ავტორს, სად მიაგნო ამ საოცარ ხასიათს, როგორ შექმნა სახე ადამიანისა, რომელსაც ძალუძს ყველაზე ჩახლართული საიდუმლოებით მოცული დანაშაულებებიც კი გახსნას? მართლა არსებობდა შერლოკ ჰოლმსი, თუ იგი მწერლის ფანტაზიის ნაყოფი იყო?

კონან-დოილი თავს არიდებდა პირდაპირ პასუხს, ბოლოს კი ერთ-ერთ ინტერვიუში მაინც განაცხადა, ჰოლმსი მართლა არსებობდაო.

ეს ედინბურგის მკვიდრი ექიმი ჯოზეფ ბელი იყო. სწორედ მისი მეთვალყურეობით დაუწყია მწერალს ექიმის კარიერა, რომელიც სულ მალე მწერლისაზე გაუცვლია. ბელის დაკვირვებულობას და ლოგიკურ აზროვნებას უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია ახალგაზრდა კონან-დოილზე. აი, რას წერდა იგი შერლოკ ჰოლმსის პროტოტიპის შესახებ მოგვიანებით: "მისი დაკვირვებულობა განსაცვიფრებელი იყო. როდესაც მე ექიმის ხარისხით აფრიკაში ჩავედი სამუშაოდ, დოქტორ ბელის ხელქვეით მუშაობა მომიხდა, რომლის შესანიშნავმა ინდივიდუალობამ და ადამიანების გამოცნობის უნარმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, რომ უთუოდ მათ მიბიძგეს მოწოდება შემეცვალა და ხალხის მკურნალობის ნაცვლად მოთხრობების წერა დავიწყე".

"დღესაც თვალწინ მიდგას დოქტორი ბელი: – იხსენებდა კონან-დოილი, – გამჭრიახი, ნაცრისფერი თვალები, არწივისებრი ცხვირი და სახის მეტყველი ნაკვთები. აი ის სავარძელში ზის, ხელები გულზე დაუკრეფია და მის წინ მჯდომს ჯიქურ მისჩერებია. მას შეეძლო ადამიანის ხელების, პიჯაკის სახელოების მიხედვითაც კი მოეთხრო ადამიანის ხასიათზე, მის პროფესიაზე".

დროის მეტ ნაწილს კონან-დოილი დოქტორ ბელის კაბინეტში ატარებდა. პაციენტები ჯერ მას უნდა გაესინჯა და მერე გაეშვა დოქტორთან. აქ მწერალი ბევრჯერ შესწრებია ამგვარ სცენებს.

– ვხედავ, ლოთობა გაწუხებთ, – მიმართავს ახლად შემოსულ პაციენტს. სერთუკის ჯიბეში მათარაც კი გიდევთ. გადააგდეთ, მოისროლეთ.

– თქვენ კი, ვხედავ, ხარაზი ხართ, – ეუბნება იგი მეორე პაციენტს და ავადმყოფისა და მიღებაზე დამსწრე სტუდენტების გაოცებული სახეების დანახვაზე უხსნის:

– სულ ადვილად მივხვდი – ამ ადამიანს ისე თავისებურად აქვს გაცვეთილი შარვალი, რომ ასე მხოლოდ ხარაზს თუ გაუცვდება.

– თქვენ კი, – ეუბნებოდა იგი სხვა ადამიანს, რომელსაც პირველად ხედავდა, – ჯარისკაცი ხართ, სერჟანტი და სამსახურს ბერმუდზე გადიოდით.

მერე კი თანმიმდევრობით უხსნიდა სტუდენტებს:

– ის ოთახში ქუდის მოუხდელად შემოვიდა, თითქოს ყაზარმაში შემოვიდაო. მაშასადამე, ჯარისკაცია. თავდაჯერებული და ავტორიტეტული იერი, აგრეთვე ასაკი გვაფიქრებინებს, რომ ის სერჟანტი იყო. წვრილი მუწუკები შუბლზე იმაზე მეტყველებს, რომ ბერმუდზეა ნამყოფი, როგორც ცნობილია, ასეთი გამონაყარი მხოლოდ იქ მცხოვრებ ადამიანებს უჩნდება.

– ეს თქვენი პირველი შვილია? – მიმართავს ბელი ღარიბულად ჩაცმულ ქალს, რომელიც ბავშვითურთ ჰოსპიტლის მისაღებ პალატაში ზის. გაკვირვებული დედა ეთანხმება, დიახო და ვერც კი წარმოუდგენია, თუ რამდენ რამეს ეუბნებოდა ბელს ლამაზი უჯრედებიანი ქსოვილის ქუდი, საზოგადოდ ხელმოჭერილ დედას რომ ეყიდნა შვილისათვის.



კიდევ ერთი შემთხვევა. პაციენტმა ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო, რომ დოქტორმა ბელმა უმალ უთხრა, რა სტკიოდა და რა პროფესიის იყო. თუ აგურებით სავსე ყუთების ზიდვას არ შეეშვებით, წელის ტკივილი უფრო გაგიძლიერდებათო.

გაოგნებულმა ხურომ წასვლისას ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ექიმს:

– ვინ გითხრათ, ბატონო ექიმო, რომ მე ხურო ვარ?

აბა რას იფიქრებდა ეს ადამიანი, რომ ბელმა მისი ხელების შემხედვარემ გამოიცნო პაციენტის პროფესია.

დოქტორ ბელს მიაჩნდა, რომ ახალგაზრდობას დაკვირვება უნდა ესწავლა. მისი აზრით, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთი შეხედვით გამოცნობას, რა ეროვნებისა და პროფესიის იყო ადამიანი. "ეს ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე შეიძლება თავიდან მოგვეჩვენოს. მაგალითად, სახის მიხედვით ყოველთვის შეიძლება ეროვნების გამოცნობა, ხოლო აქცენტისა და კილო-გამოთქმის მიხედვით – სამშობლოსი. თითქმის ყოველი ხელობა ამჩნევს თავის კვალს მუშა ადამიანის ხელებს. მაგალითად, ქვანახშირის მაღაროში მომუშავე ადამიანს სულ სხვა ნაიარევი და ნაჭდევები აქვს ხელებზე, ხუროს – სხვა. განსხვავებულები არიან თერძი და ხარაზი. სახმელეთო ჯარის ჯარისკაცი და მეზღვაური სიარულით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეზღვაურის საათის ძეწკვის ბრელოკები გეტყვით, სად ხარჯავდა იგი ფულს. სვირინგები მის სხეულზე მოგითხრობენ იმ ადგილებზე, სადაც ის ყოფილა. ამგვარ წვრილმანს რომ დაუკვირდებით და ღრმად შეისწავლით, ნახავთ, რომ ძალზე ბევრი რამის თქმა შეიძლება ადამიანზე მისი ოთახში შემოსვლის უმალ."

გამოუყენებია თუ არა როდისმე თავისი დაკვირვებულობა დოქტორ ბელს დანაშაულებათა გასახსნელად, როგორც ამას ლიტერატურული გმირი შერლოკ ჰოლმსი აკეთებდა?

თურმე, კი. დოქტორი ბელი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა იმ დანაშაულებისადმი, რომლებიც იდუმალად, საიდუმლოდ ეჩვენებოდა. ერთხელ მან თავის მეგობართან ერთად დიდი დახმარება გაუწია პოლიციას. იქიდან გამომდინარე, რომ ორი ადამიანის მიერ ერთი და იგივე საკითხთან დაკავშირებული დამოუკიდებელი დასკვნები შეცდომებისაგან დასაზღვევი უფრო მტკიცე გარანტია, ისინი შეთანხმდნენ, საკუთარი ვარაუდები წერილებში გადმოეცათ, მერე მათ ეს წერილები გაცვალეს. ორივე წერილში ეჭვმიტანილად ერთი და იგივე ადამიანი იყო დასახელებული. მისი სახელი პოლიციას ეცნობა და დანაშაული გაიხსნა.

დოქტორ ბელს გაცნობიერებული ჰქონდა, თუ რა როლს თამაშობდა იგი ცნობილ მაძებარზე შექმნილი სახელგანთქმული მოთხრობების დაწერაში. კონან-დოილი იგონებდა, რომ მას ძალიან სიამოვნებდა, თავმოყვარეობას იკმაყოფილებდა როცა უცხო ადამიანის ნათქვამს გაიგონებდა: "აგერ დოქტორი ბელი მოდის – სწორედ ის არის ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი!"

და მას ჰქონდა ამის უფლება.

## მე თვითონ

# კედლის „ზურგჩანთა"



ბოლო ხანებში ყველა დანარჩენ ჩანთასა თუ პორტფელს მთელი მსოფლიოს მოსწავლეები ზურგჩანთას ამჯობინებენ, და მართლაც თავისი მოყვანილობით, ტევადობით, ათასნაირი დიდ-პატარა ჯიბით იგი ძალიან მოსახერხებელია. გარწმუნებთ, ასევე მოსახერხებელია კედლის ზურგჩანთა. ჯერ ერთი, ყველა სასწავლო ნივთს – გაკვეთილების ცხრილი იქნება, საშლელი, სათლელი, ფანქრები თუ კალმისტრები – თავისი მუდმივი ადგილი – ჯიბე თუ განყოფილება ექნება და მათი ძებნა აღარ მოგიწევთ. გარდა ამისა, "კედლის ჩანთა" ძალიან პატარა ადგილს იკავებს და რაც მთავარია, მისი გაკეთება თქვენ თვითონვეც შეგიძლიათ.

აიღეთ სქელი სელის ქსოვილი, ირგვლივ ჯინსის ქსოვილის კანტი შემოავლეთ (0,8 - 1 სმ სიგანის), სასურველია კანტი წითელი ან ნარინჯისფერი ძაფით იყოს დალიანდაგებული. ასეთივე ფერის ძაფით დაამუშავეთ ჯიბის პირებიც. ჯიბეებად შეგიძლიათ ძველი ჯინსების დეტალები გამოიყენოთ. ჩვენ მიერ შემოთავაზებული სქემა-ნახაზზე მითითებულია ყველა დეტალის განლაგების ადგილი და მათი ზომები ნაკერის ნამატის გარეშე (ნაკერი – 1 სმ).

ამოჭრისას ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ თითოეული ჯიბე უფრო განიერი უნდა იყოს, ვიდრე ადგილი, რომელზეც ის უნდა მიკერდეს, თორემ ასეთ განყოფილებაში ვეღარაფერი ჩაიდება, ამიტომაც ყოველ ჯიბეს გვერდებიდან 2-2 სმ უნდა წავამატოთ.

ჯიბე № 1 ჯინსის ქსოვილის ორი მომცრო ნაჭრისაგან იკერება, გვერდები და ბოლო 1 სმზეა შეკეცილი. ჯიბე № 2 – წვრილმანისთვისაა განკუთვნილი და გამ-

ჭვირვალე აფსკის ან ორად გაკეცილი ცელოფანის პარკისაგან იკერება. ორად გაკეცილი პარკის ღია ბოლოები ჯინსის ქსოვილით არის შემოგვირისტებული. მას შემდეგ, რაც პარკს კიდევ ერთხელ შუაზე გადაკეცავთ, პირი ოდნავ განიერდება, გვერდითი ნაპირები კი ჯინსის ზედსადებით იფარება და გვირისტდება. მარცხენა ქვედა კუთხეში სამი ჯიბეა: პეპლიანი №3 (15 X 13,5 სმ), ჯიბე №5 (15 X 6 სმ) და მათ შორის სამგანყოფილებიანი ჯიბე №4 (15 X 7,5 სმ). მის მარცხენა მხარეზე 1 სმ-ით შეკეცილი №3 ჯიბის მარცხენა მხარეა, მარჯვენაზე კი, №5 ჯიბის მარცხენა მხარე. ჯიბეები წინასწარ დახაზულ ვერტიკალურ ხაზზე უნდა დაკერდეს. ზედმეტი ქვედა ნაწილი უნდა შეიკეცოს და №11 დეტალზე დაგვირისტდეს. წინასწარ აღნიშნულ ხაზებზე მარჯვნივ ერთი მეორის შემდეგ უნდა მიაკეროთ №7 და №8 ჯიბეები, ამასთან გვერდებზე მოგვირისტების ნაკერები ღია რჩება. №8 ჯიბე სახაზავისთვისაა და ძველი ჯინსების დეტალით არის დამუშავებული. "ზურგჩანთის" მარჯვენა ზედა კუთხეში მიკერებულია დეტალი №9. აქ სათამაშოების ცელოფანის პარკების სამაგრები ჩამოკიდეთ.

ბლოკის შუაში №10 პლასტრონი განალაგეთ, მან №7 ჯიბის მარცხენა, №5 ჯიბის მარჯვენა და №9 დეტალის მარცხენა კიდეები უნდა დაფაროს. პლასტრონი წინასწარ ასე უნდა დაამუშაოთ: მის ქვედა ნაწილს პოროლონი ამოუდეთ (18 X 26 სმ). ასე თქვენ თავისებურ "განცხადებათა დაფას" მიიღებთ, რომელზეც შეგიძლიათ ქინძისთავებით ათასნაირი ჩანაწერი, პატარა ფურცელი თუ სამკერდე ნიშანი მიამაგროთ. პოროლონი ვერტიკალური გვირისტებით უნდა იყოს დამუშავებული. ქვევით, "ზურგჩანთის" ცენტრში, პლასტრონზე "ელვა შესაკრავიანი" №6 ჯიბეა დაგვირისტებული. პლასტრონის გვერდები 1 სმ-ზეა შეკეცილი და ორმაგი ჯინსის გვირისტით შემოკერილი. და ბოლოს, "ზურგჩანთის" ბლოკს მიკერებული აქვს რგოლები, რომლებითაც ის უნდა ჩამოიკიდოს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე

ყველაზე
ყველაზე

ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი 12 წლის იტალიელი ლუიჯი სოლანო იყო. ლუიჯიმ 10 წლისამ დაამთავრა საშუალო სკოლა, ორი წლის შემდეგ კი კემბრიჯის უნივერსიტეტის დიპლომი მიიღო, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ინგლისური ენის სწავლების უფლებას აძლევდა.

***

ძველებისთვის ცნობილი რიცხვებიდან ყველაზე დიდი იყო 195955000000. იგი შუმერთა ლურსმულ ტექსტებში აღმოაჩინეს. ასეთი რიცხვებით მეცნიერები დეკარტისა და ლეიბნიცის დროსაც კი არ სარგებლობდნენ. ხოლო მცნება "მილიონი" ევროპულ მეცნიერებაში XIX საუკუნეში შემოვიდა.

***

ყველაზე ძველი ანბანი ხმელთაშუა ზღვის სირიული პორტის ლატაკიას სიახლოვეს წარმოებული გათხრების დროს აღმოაჩინეს. იგი 30 ასოსგან შედგებოდა.

***

ყველაზე პირველი მძიმე XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე გამოჩნდა. იგი ვენეციელმა... მესტამბემ და გამომცემელმა ალდ მუნციიმ შემოიღო. მანვე შემოიღო სათაურები წიგნებში.

***

ყველაზე ძველი გამომთვლელი მანქანა ორი ათასი წლისაა. მისი საშუალებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წელს ანგარიშობდენ პლანეტების მოძრაობის გზებს. ამ გამომთვლელი მანქანის ნახვა ათენის ეროვნულ მუზეუმში შეიძლება.

***

ყველაზე ცოტა ასო — 15 სამოას ანბანშია. ფინურ და იტალიურ ანბანში 21-21 ნიშანია.

***

ყველაზე წყალმარჩხი ოკეანეა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე. მისი ყველაზე ღრმა ადგილები 1000-4000 მეტრია.

***

ყველაზე ყინვაგამძლე თევზი დალიაა. იგი ჩუკოტკასა და ალიასკაზე ცხოვრობს ისეთ წყალსაცავებში, რომლებიც ფსკერამდე იყინება. დალია ყინულში ჩაყინული იზამთრებს.

***

კვამლისგან ყველაზე სუფთა ზეცა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკს დაჰქათქათებს. ქალაქში საერთოდ არ არის საკვამურები. გათბობის სისტემა ქვეყანაში უხვად არსებული გეიზერების ცხელი წყლით მარაგდება.

***

ყველაზე შორეული გადაფრენის რეკორდი, დარგოლევის ცენტრალური ბიუროს მონაცემებით, პოლარულ მეთოველიას ეკუთვნის, რომელმაც თეთრი ზღვიდან აფრენილმა ევროპისა და აფრიკის გავლით 24 000 კილომეტრი იფრინა და ავსტრალიამდე ჩააღწია.

***

ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა ელ-აზიზიაში (ლიბი). 1922 წლის 13 სექტემბერს აქ 57,8 გრადუსი სიცხე იყო. ყველაზე მინიმალური ტემპერატურა - 89,2 გრადუსი იყო სადგურ "ვოსტოკზე" ანტარქტიდაში 1983 წლის 21 ივლისს.

***

ყველაზე დიდი მიწისძვრ,, მოხდა განსუსა და შენსიში (ჩინეთი) 1556 წელს, მან 800 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

***

ყველაზე მაღალი მოქმედი ვულკანია კოტოპახი (ეკვადორი), რომლის სიმაღლე 5896 მეტრია, დაახლოებით 400 მეტრით ჩამორჩება მას მექსიკაში მდებარე პოპოკატეპეტლის ვულკანი.

***

მსოფლიოში ყველაზე დიდი უდაბნოა საჰარა (ჩრდილო აფრიკა). მისი ფართობი დაახლოებით 7 მილიონი კვადრატული კილომეტრია.

***

ყველაზე დიდი კუნძული გრენლანდიაა, მას 2 175 600 კვადრატული კილომეტრი უკავია.

***

ყველაზე დიდი მდინარე სიგრძითა და წყლის აუზითაც. ნილოსია (კაგერათი), რომლის სიგრძე 6671 კილომეტრია, წყლის აუზი კი 2 870 000 კვადრატული კილომეტრი. ნილოსზე 151 კილომეტრით მოკლეა მისისიპი (მისურით), სამაგიეროდ, მისი აუზია უფრო დიდი — 3 238 000 კვადრატული კილომეტრი.

***

ყველაზე მაღალი ჩანჩქერია ანხელი (ვენესუელა) — 1054 მეტრი.

***

ყველაზე დიდ ტბად კასპიის ზღვაა მიჩნეული. მისი ფართობი 371 000 კვადრატული კილომეტრია, ყველაზე დიდი სიღრმე კი — 1025 მეტრი.

***

ყველაზე ღრმა მღვიმეა პიერსენ-მარტენი (საფრანგეთი და ესპანეთი, პირინეის მთები) — 1332 მეტრი. ყველაზე გრძელი კი ფლინტ-მამონტოვის მღვიმეა (აშშ, კენტუკი), მისი საერთო სიგრძე 288 კილომეტრს შეადგენს.

# ნახატებიანი ვიქტორინა



1. პეტერბურგში დაბადებული დიდი ქართველი მეცნიერისა და ინჟინრის, ქიმიკოსისა და ფიზიკოსის პეტრე რომანის ძე .......... მიერ აღმოჩენილი ციანირების მეთოდს მთელ მსოფლიოში ფართოდ იყენებენ თანამედროვე მეტალურგიაში. მან პირველმა დაადგინა ლითონური ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ხსნადობა ტუტე ლითონთა ციანიდების წყალხსნარში.

2. ამ ორი დიდი მათემატიკოსის ........ და .........წყალობით მათემატიკის ქართულმა სკოლამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა.



3. ივანე ჯავახიშვილის წინადადებით ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პირველ რექტორად პროფესორი ........ იქნა მოწვეული, რომელიც იმხანად ........ მოღვაწეობდა.



4. დიდ ქართველ ფიზიოლოგს ....... ეკუთვნის ადამიანის კანში ელექტრომამოძრავებელი ძალების აღმოჩენა, რომლებიც სხვადასხვა გაღიზიანების საპასუხოდ წარმოიქმნება. კანში აღმოცენებული ეფექტები მსოფლიო ლიტერატურაში დღესაც "........... ფენომენად მოიხსენიება".



5. ქართული ენათმეცნიერების მესაძირკვლე ... ... თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ქართული ენის კათედრის პირველი ხელმძღვანელი იყო.



# კითხვა — თქვენი

*წავიკითხე იანუშ კორჩაკის წიგნი "მეფე მატიუშ პირველი", ძალიან მომეწონა. მინდა უფრო მეტი ვიცოდე თვითონ კორჩაკის შესახებ.*

*თეონა ჯაფარიძე,*
*თბილისი*

პოლონელი მწერალი იანუშ კორჩაკი (ნამდვილი სახელი და



გვარი ჰენრიკ გოლდშმიდტი) იმავე დროს ექიმიც იყო და პედაგოგიც. მან მთელი სიცოცხლე ობოლ ბავშვებზე ზრუნვაში გალია. იმ ბავშვთა სახლებში, რომლებსაც ის ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებული სიკეთისა და გულითადობის ატმოსფერო სუფევდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში კორჩაკი ვარშავის გეტოს ბავშვთა სახლში მუშაობდა და როგორც შეეძლო, ყოფას უმსუბუქებდა პატარებს. ფაშისტებმა ბავშვთა სახლის ორასი აღსაზრდელი გაზის კამერებში განაწესეს დასაწვავად. მეგობრები ემუდარებოდნენ კორჩაკს, თავისთვის ეშველა, მას კიდევაც ჰქონდა ამის საშუალება, მაგრამ არ მოინდომა და თვითონაც თავის აღსაზრდელებთან ერთად დაიღუპა ტრებლინკში.

გარდა "მეფე მატიუშ პირველისა", იანუშ კორჩაკმა დაწერა "ცხოვრების წესები", "როცა მე კიდევ პატარა გავხდები", "ქუჩის ბავშვები" და სხვა.

*დაახლოებით კი ვიცი, რა არის კრიპტოგრაფია, მაგრამ მინდა უფრო მეტი ვიცოდე. კარგი იქნება, თუ "ნაკადული" დაწერს ამის შესახებ და იმასაც გვიამბობს, იყენებდნენ თუ არა კრიპტოგრაფიას საქართველოში.*

*თამაზ ქვანია,*
*ფოთი.*

კრიპტოგრაფია, ანუ საიდუმლო, სამალავი ანბანი, დამწერლობა ძველთაგანვეა ცნობილი. მისი საშუალებით ადამიანები მალავენ საკუთარ ვინაობას, სათქმელს, შეტყობინებებს, სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ცნობებს და ა.შ. კრიპტოგრაფიას საქართველოშიც მიმართავდნენ ხოლმე, ამაზე მეტყველებს რამდენიმე შემონახული ნიმუში, თუნდაც ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გადმოთარგმნილ წიგნზე მისივე ხელით, შესრულებული ეს მინაწერი:

17 $\frac{8}{7}$ 92 ამ დროს 6125952419 7112171521 რომელიც ასე იკითხება: "ვაკეთებდით ზარბაზანსა".

საიდუმლო ანბანი იხმარებოდა, აგრეთვე, დიპლომატიური მიმოწერის დროს. სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ საიდუმლო ანბანს თხზავდნენ მეფეები, მათი დიპლომატები და სამეფო კარის მოხელენი. ხშირად საიდუმლო ანბანს მიმართავდნენ პოლიტიკური შინაარსის წერილებისათვის. ცნობილია, მაგალითად, ფილადელფოს კიკნაძის მიერ გამოგონილი საიდუმლო ანბანი, რომლითაც მიმოწერას აწარმოებდნენ 1832 წ. შეთქმულების წევრები. ამის მაგალითს წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი, საიდუმლო ანბანიც.

საქართველოს ცენტრარქივში დაცულია საიდუმლო ანბანით ნაწერი ტექსტი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: "ცხრაზედ ერთი, ექვსზედ სამი, ექვსზედ ერთი, ხუთზედ ერთი, ხუთზედ ორი, ერთზედ ორი"... და ა.შ.

საიდუმლო ანბანი წარმოადგენს ცხრილს, რომელიც შედგება 9 ჰორიზონტალური და 4 ვერტიკალური დანაყოფისაგან, ე.ი. სულ 36 უჯრედისაგან. ამ უჯრედებში მოთავსებულია ქართული ანბანი, რომელიც იკითხება ზემოდან ქვემოთ. როდესაც საიდუმლო ტექსტს ვკითხულობთ, პირველი რიცხვი ჰორიზონტალურ დანაყოფს უჩვენებს, მეორე რიცხვი – კი ვერტიკალურისას. ტექსტის წასაკითხად საჭიროა მოიძებნოს რიცხვებით აღნიშნული უჯრედი, რომელშიც მოთავსებულია ქართული ანბანის ესა თუ ის ასო. მაგალითად, 9X1=თ, 6X3=ქ, 6X1=ვ, 5X1=ე, 5X2=ნ, 1X2=ი (ხელნაწერის სიტყვები შეცვლილია ციფრებით).

მოყვანილი "გასაღების" საშუალებით ტექსტი ასე იკითხება: "თქვენი ამბავი შემატყობინე, ეგრეთვე ალმასხანისა. რუსეთს აპირებთ წახვლასა თუ არა, ან მანდაური საქმე როგორ არის, თქვენი თუ ხალქისა. ჩვენი საქმე კი ასე არის: რითაც კი შეიძლება საქმის წარმართება, ყველგნიდამ ვეცდებით ღვთითა".

| | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| 1 | ა | ი | რ | ჩ |
| 2 | ბ | კ | ს | ც |
| 3 | გ | ლ | ტ | ძ |
| 4 | დ | მ | უ | წ |
| 5 | ე | ნ | ფ | ჭ |
| 6 | ვ | ჲ | ქ | ხ |
| 7 | ზ | ო | ღ | ჴ |
| 8 | ჱ | პ | ყ | ჯ |
| 9 | თ | ჟ | შ | ჰ |

# პასუხი — ჩვენი

# როგორი ხასიათი გაქვთ

ფსიქოლოგები ექვს სიტუაციასა და თითოეული მათგანის დროს მოქმედების სამ ვარიანტს გთავაზობენ. ყურადღებით წაიკითხე სიტუაცია, გაიაზრე, წარმოიდგინე იგი. მერე მოქმედების სამივე შესაძლო ვარიანტსაც გაეცანი და მათგან ერთი ამოირჩიე. არჩეულ ვარიანტს "+" დაუწერე. ასე მოიქეცი ექვსივე სიტუაციაში. აბა, მზად ხარ?

1. დაბადების დღეზე ისეთი რამ გაჩუქეს (ლარნაკი, ჰალსტუხი, პერანგი, წიგნი, მაისური, კალმისტარი და ა.შ). რაც უკვე გაქვს. როგორ მოიქცევი?

ა. მადლობას გადაგიხდი, მერე კი ამ საჩუქარს სხვას ვაჩუქებ.

ბ. მაშინვე ვიტყვი, რომ უკვე მაქვს ასეთი ნივთი.

გ. არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, შევინახავ საჩუქარს.

2. გაკვეთილზე ერთმა შენმა თანაკლასელმა მეორეს ბარათი გაუგზავნა, რომელსაც აწერია: "არ გახსნათ!" ბარათი შენ ჩაგივარდა ხელში. როგორ მოიქცევი?

ა. ჩუმად წავიკითხავ და ისე გადავცემ. ხომ უნდა ვიცოდე რა წერია შიგ.

ბ. მაშინვე გადავცემ. ბარათის წაკითხვას არ ვაპირებ.

გ. რა თქმა უნდა, გადავცემ, ოღონდ გაკვეთილის შემდეგ. ხომ შეიძლება მასწავლებელმა შემამჩნიოს და წამართვას. სარისკოა.

3. მასწავლებელმა, რომელიც ცუდი თვალით გიყურებს, გადაწყვიტა თავის საგანში სასკოლო კონკურსი ჩაატაროს: შენ რეალური შესაძლებლობა გეძლევა, "ტექნიკური" დახმარება გაუწიო მასწავლებელს (საკლასო ოთახის მომზადება, ბარათების გადაწერა და ა.შ.) და ხუთიანი გაინაღდო. როგორ მოიქცევი?

ა. უარს ვიტყვი, არც მასწავლებელი მიყვარს და არც მისი საგანი. რისთვის მოვიკლა თავი?

ბ. ცხადია, დავეთანხმები, თუ შესაძლებელია, რატომაც არ "დავირტყა" ხუთიანი. მასწავლებელთან ურთიერთობასაც ხომ გავიუმჯობესებ.

გ. პრინციპული მოსაზრებით უარს ვიტყვი. მოსახდენი უნდა მოხდეს.

4. დასვენებაზე ერთ-ერთი თანაკლასელი ანეკდოტს ყვება. შენ კი უკვე იცი იგი. როგორ მოიქცევი?

ა. არ შევიმჩნევ რომ უკვე ვიცი, რატომ გავუფუჭო მთხრობელს გუნება?

ბ. რა თქმა უნდა, ვიტყვი, შენი ანეკდოტი მოძველდა-მეთქი.

გ. ალბათ, შევაწყვეტინებ და თვითონ გავაგრძელებ ანეკდოტს.

5. მეზობელ ქუჩაზე აღმოაჩინე ტელეფონი-ავტომატი. რომლითაც შეიძლება უმონეტოდ დარეკო,. როგორ მოიქცევი?

ა. სატელეფონო სადგურს შევატყობინებ.

ბ. მარტო თვითონ ვისარგებლებ ჩუმად ამ ტელეფონით, სხვას არავის ვეტყვი.

გ. რა თქმა უნდა სხვებსაც ვეტყვი და ერთად დავრეკავთ ხოლმე, ყველას "გავაშაყირებთ"

6. რაღაც ნივთი დაგრჩა და გაკვეთილების შემდეგ ცარიელ კლასში დაბრუნდი. შემთხვევით შეუსწარი ამხანაგს, რომელიც საკლასო ჟურნალში რაღაცას შლის. მან ვერ შეგამჩნია. როგორ მოიქცევი?

ა. მასწავლებელს დავუძახებ. თუ ჩემი ამხანაგია, გავაჩერებ, გავაფრთხილებ არ ღირს ამის გაკეთება-მეთქი.

ბ. მივალ და ვნახავ, რას აკეთებს, ჩემს ნიშნებსაც შევამოწმებ ან უკიდურეს შემთხვევაში "ატანდაზე" დავდგები.

გ. ჩუმადვე დავბრუნდები უკან. რად მინდა ხათაბალაში გავება.

**ახლა კი მიღებული ქულები:**

| პასუხები | ქულები | პასუხები | ქულები | პასუხები | ქულები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ა) | 2 | 2. ა) | 6 | 3. ა) | 10 |
| ბ) | 6 | ბ) | 10 | ბ) | 2 |
| გ) | 10 | გ) | 2 | გ) | 6 |
| 4. ა) | 10 | 5. ა) | 10 | 6. ა) | 6 |
| ბ) | 6 | ბ) | 2 | ბ) | 10 |
| გ) | 2 | გ) | 6 | გ) | 2 |

**თუ 16 ქულამდე დააგროვე**

გულჩათხრობილი უფრო გეთქმის, ვიდრე გულღია. კუსავით "ბაკანში" უფრო გირჩევნია ყოფნა. დიდ ნიჭს იჩენ ზუსტ მეცნიერებებში. არ გიყვარს ხმაურიანი საზოგადოება. ზოგჯერ სურვილი გიჩნდება, რაიმე კეთილშობილური საქმე წამოიწყო, მაგრამ ყოველთვის არ გამოგდის ეს.

**7-27 ქულა**

გუნება -განწყობილების ადამიანი ხარ. შეიძლება ლექსებსაც წერ. გიტარაზე უკრავ. ვითარების მიხედვით იალქნიანი გემივით ხან წინ ისწრაფვი, ხან აპათიაშივარდები. მეოცნებისა და რომანტიკოსის თვისებები გაგაჩნია. თუმცა განმარტოება გიყვარს. ზოგჯერ თანატოლების ხმაურიან წრეში ყოფნაც გინდება. კარგი იქნება, თუ საერთოდ მეტისმეტად სერიოზულად არ მოეკიდები საკუთარ თავს, ცოტა იუმორიც გაურიე.

**28-36 ქულა.**

ნებისმიერი საზოგადოების სული და გული ხარ. ამხანაგები კარგად გეკიდებიან. გრძნობებს, ემოციებს, განცდებს დიდი მნიშვნელობა აქვს შენთვის, თუმცა აქტიური, მყისიერი მოქმედების გარეშე გწყინდება. შეიძლება კარგი მეწარმე, ორგანიზატორი, მენეჯერი დადგე, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ "ცუდ წრეში" არ ჩავარდები. ასეთი საშიშროება კი სავსებით რეალურია შენთვის, იმიტომ რომ დისციპლინა მაინცდამაინც არ გიყვარს და, რომ იტყვიან, "დასაქოქი" ადამიანი ხარ.

**37-52 ქულა:**

როგორც წესი, პირველობას ეშურები, სპორტი იქნება ეს, სწავლა თუ უბრალოდ საზოგადოება. წყენას დიდი ხნით იტოვებ გულში. გინდა აუცილებლად გადაუხადო მწყენინებელს სამაგიერო. საკმაოდ მიზანსწრაფული ხარ, იცი, რა გინდა და დასახულის მისაღწევად გზებსაც პოულობ. თუმცა, ზოგჯერ ძლიერი გრძნობები გიჩნდება, მაგრამ თავს არ კარგავ. ძალიან გიყვარს მბრძანებლობა, რამაც შეიძლება ცუდი სამსახური გაგიწიოს.

**53 და მეტი ქულა:**

შეგიძლია ყველას დაუმეგობრდე. შეგიძლია ბევრი რამ მოუსმინო და აპატიო მეგობრებს, ამიტომაც უპრინციპო და უხერხემლო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. ძალა არ გყოფნის, საკმაოდ კრიტიკული იყო სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. ხშირად მიჰყვები დინებას და სწორედ ესაა შენთვის მთავარი საშიშროება.

# სიცილის გაკვეთილი

— მასწ, არც დედა იყო შინ, არც მამა და მე ჩემი უფროსი ძმა მოგიყვანეთ.



* * *

მამა: — ახლა კი, ჩემო ბიჭო, ერთი შეკითხვა ფიზიკის სფეროდან. როცა ჩაიდანში წყალი დუღს, ცხვირიდან ორთქლი რისთვის გამოდის?

შვილი:

— იმისთვის, რათა დედამ შენთვის გამოგზავნილი კონვერტების გახსნა შეძლოს.

* * *

— ვილი, რა ხდება, გამაგებინე! ტყუპების დედამ შემომჩივლა, რომ ერთ-ერთი მათგანი გიცემია, თვალიც ჩაგილურჯებია მისთვის.

— მართალია, დე, ვცემე, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ტყუპები ერთმანეთისაგან განვასხვაო.

* * *

— ჯიმი, სად არის ნამცხვარი, ამ თეფშზე რომ იდო?

— მე ის ერთ მშიერ ბიჭს მივეცი.

— კარგად გიქნია, მაგრამ ვინ არის ის ბიჭი?

— მე, დედიკო, მე...



* * *

მამა: გაკვეთილები გააკეთე?

პოლი: კი, მამა, ანბანი ვისწავლე.

მამა: თუ ასეა, მითხარი, რომელი ასო მოსდევს "ა"-ს?

პოლი: ყველა დანარჩენი.

* * *

მასწავლებელი ეკითხება პედროს:

— რაშია საქმე, მთელი კვირაა სკოლაში იგვიანებ?

— მასწ, მე მხოლოდ ერთი კვირის წინ გავიგე, რომ სწავლა არასდროს არ არის გვიან!

* * *

— ჩვენ ახლა კარნახს დავწერთ და ვინც სამ შეცდომაზე მეტს დაუშვებს, ორიანს მიიღებს — თქვა მასწავლებელმა.

ყველა წერას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ პაულმა კალმისტარი მერხზე დადო და ფანჯარაში ყურება დაიწყო.

— რატომ მიატოვე წერა, პაულ? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მე უკვე ოთხი შეცდომა დავუშვი, მასწ.

# იწილოთ–მიწილოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოვეთ კანონზომიერება.






გამოიცანით, რომელი მუშკეტერი შევიდა დე ტრევილთან?

# კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 5. ებრაელთა სამლოცველო სახლი. 6. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 8. ხარისთავიანი ურჩხული ბერძნულ მითოლოგიაში. 11. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი. 14. ლითონის ფული ძველ რომში. 15. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 16. ფრთოსანი მერანი ბერძნულ მითოლოგიაში. 17. წყლის დიდი სივრცე. 21. ტროპიკული ხილი. 22. სახელმწიფო ჩრდ. ევროპაში. 23. ქარისაგან მოტანილი სილის ბორცვი. 26. სასულიერო სასწავლებელი რევოლუციამდელ რუსეთში. 27. საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება ანტიკურ ქვეყნებში. 28. ბალეტის მოცეკვავე ქალი.

ვერტიკალურად: 1. სახელმწიფო აზიაში. 2. ზღვის ფრინველი. 3. ეგვიპტის დედაქალაქი. 4. ფარაონის აკლდამა. 7. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია. 9. ფრანგი მწერალი, "სპარსული წერილების" ავტორი. 10. სახელმწიფო აზიაში. 12. პროფესიონალი მოკრივე. 13. ცხვრის ჯიში. 18. ოთხკუთხედი, რომლის მხოლოდ ორი გვერდია პარალელური. 19. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება. 20. უცხოური სიგარეტი. 24. გარეული ცხოველი. 25. იტალიელი ფეხბურთელი.

შეადგინა ალეკო ნათელაშვილმა



## "ნაკადულის" მე-3 ნომერში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. კანზასი; 4. სუ; 5. ულუფა; 8. ბიოგრაფია; 11. აქლემი; 12. ნოსტალგია; 14. დალი; 17. ნიკე; 18. რასა; 20. აბი; 21. არტერია; 23. ხიროსიმა; 24. კალიარი; 25. გოია; 26. შიფრი; 29. ბადე; 31. აია; 32. ნიამეი; 34. დილეგი; 36. ტიტანი; 37. კაირო; 38. არკანზასი.

შვეულად: 1. ალექსანდრია; 3. ალი; 6. ფრე; 7. ლიბია; 8. ბინოკლი; 9. გიტარა; 10. ატლასი; 13. ომეგა; 15. ინტერიერი; 16. მანდარინი; 19. აბორიგენი; 22. ასლი; 24. კაშალოტი; 27. ფაშატი; 28. იადონი; 29. ბალი; 30. დესერტი; 33. ანდაზა; 35. გოგრა.

# როკ ენციკლოპედია

## "ბონ ჯოვი"

1982 წელს იონ ბონჯიოვი, ნიუჯერსელი პარიკმახერისა და ყვავილების მაღაზიის მფლობელის შვილი გრამჩამწერი ფირმა "მერკურის" ერთ-ერთ ფილიალში მოეწყო დამლაგებლად. ერთხელ, როცა ყველა თანამშრომელი შინ წავიდა, იონმა რამდენიმე საათში ჩაწერა საკუთარი კომპოზიცია, სინგლი "გაქცეული". მეორე დილით იმავე ფირმაში მომუშავე უფროსმა ძმამ ყმაწვილი დამლაგებლის ჩანაწერი მოისმინა და აღტაცებული დარჩა. "გაქცეული" ადგილობრივ რადიოსადგურებს შესთავაზეს და სულ მალე სიმღერა ჟურნალ "ბილბორდის" ჰით-პარადში მოხვდა. "მერკიურიმ" კონტრაქტი დაუდო ბონჯიოვის და გვარის გადაამერიკულება შესთავაზა. ასე გაჩნდა ბონ ჯოვი. ახალგაზრდა მუსიკოსი ჯგუფის შექმნას შეუდგა: კლავიშიან საკრავებს დეივ ბრაინი (ნამდვილი გვარი – რეშბაუმი) მიუჯდა, მას დასარტყამი საკრავების ოსტატი, წარმოშობით პუერტორიკოელი ტიკო ტორესი შეუერთდა, ჯგუფ "ფანტომს ოპერიდან" გადმოვიდა გიტარისტი ალეკ ჯონ საჩი, ახალი როკჯგუფის ლიდერ-გიტარისტი კი რიჩი სამბორა გახდა. ბონ ჯოვიმ და მისმა მეგობრებმა პირველი ალბომი ჩაწერეს, რომლის ბირთვს "გაქცეული" წარმოადგენდა. ამას ერთწლიანი გასტროლები მოჰყვა. მერე "ბონ ჯოვიმ" მეორე ფირფიტა მოამზადა – "7800 გრადუსი ფარენგეიტით".

ამერიკელი მუსიკალური მიმომხილველები საკმაოდ გულგრილად შეხვდნენ ახალ ჯგუფს, ჯერ ლექსები დაუწუნეს, არც შესრულება მოუწონეს მაინცდამაინც და საბოლოოდ მისი წევრების სტილი "რბილ მეტალად" ანუ "სოფტ-მეტალად" მონათლეს.

"ბონ-ჯოვის" ფირფიტებს ჰიტპარადებში ბოლო ადგილი ეკავა. არც ეთერში გაისმოდა მაინცდამაინც ხშირად მისი სიმღერები, მაშინ ჯგუფმა გადაწყვიტა საკონცერტო გამოსვლებით გამოესწორებინა საქმე. 1986 წელს გამოვიდა ფირფიტა "როცა სისველეა, ფეხი სხლტის", რომელიც 12 მილიონი ცალის რაოდენობით გაიყიდა და რომელმაც 36 კვირის განმავლობაში შეინარჩუნა ადგილი ჟურნალ "ბილ-ბარდის" საუკეთესო დისკების ათეულში, საბოლოო ჯამში იგი წლის საუკეთესო დისკად აღიარეს, ხოლო თავად "ბონ ჯოვი" – საუკეთესო ჯგუფად. მისმა წევრებმა უამრავი პრიზი და პრემია მიიღეს. "ბონ-ჯოვის" აუარებელ თაყვანისმცემელთან ერთად ბევრი მიმბაძველი და მიმდევარი გამოუჩნდა შვეციაში, ინგლისში, ამერიკაში. არანაკლები წარმატება ხვდა წილად ჯგუფის მომდევნო ფირფიტას "ნიუ-ჯერსი".

